


საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №1(183) 2019 წ. 1-15 იანვარი ფასი 80 თეთრი

# მუნიციპალური გვერდი

### საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის თათბირი
8 იანვარი, 2019 წელი

## „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის განხორციელება იწყება



**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის მერიის სამშაბათის ტრადიციულ თათბირს მერის წარმომადგენლები, მერიის სამსახურებისა და განყოფილებათა უფროსები ესწრებოდნენ. თათბირს ***მერის მოადგილეები*** **ლევან გილაშვილი** და **პაატა ასრათაშვილი** უძღვებოდნენ.

შობის დღესასწაულის მილოცვის შემდეგ მერის პირველმა მოადგილემ ლექსო გილაშვილმა თქვა:

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ მოქმედება 2019 წლის 1 იანვრიდან ახლებური სახით აღდგა. პროგრამით დასაფინანსებელი პროექტების შერჩევა მოსახლეობის მიერ ხდება და შერჩევის პროცესი უნდა დასრულდეს 2019 წლის 1 მარტამდე. იმ შემთხვევაში, თუ სოფელი ვერ მოახერხებს შეთანხმებას დასაფინანსებელ პროექტებზე, პროგრამით გათვალისწინებული თანხა ბრუნდება რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდში (რეგფონდში) და მოხმარდება ისევ რეგიონის საჭიროებებს. „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით მუნიციპალიტეტის სოფლებში 5 ათასიდან 10 ათას ლარამდე ღირებულების მცირე ინფრასტრუქტურული პროექტები დაფინანსდება. პროგრამა რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის (რეგფონდის) ქვეკომპონენტი იქნება და მისი ოდენობა ქვეყანაში 20 მილიონი ლარით განისაზღვრება, ხოლო ჩვენს მუნიციპალიტეტში დაახლოებით 340 ათასი ლარით.

პროგრამისთვის პროექტები შეირჩევა უშუალოდ მოსახლეობის გადაწყვეტილებით თითოეულ სოფელში გამართულ საერთო კრებების სხდომებზე. პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტები განსაზღვრულია და მათ შორისაა - სასმელი წყლის და სარწყავი სისტემების, სანიაღვრე არხების მოწესრიგება; ნაპირსამაგრი სამუშაოები; გზების და ხიდების მოწესრიგება; გარე განათების, სკოლების მიმდებარე ტერიტორიის, კულტურის ობიექტების, სპორტული ინფრასტრუქტურის, მოედნებისა და სკვერების მოწყობა და სხვა. სოფლებში პროექტების შესარჩევად სოფლის კრებების ჩატარებას სწორედ მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლებმა უნდა შეუწყონ ხელი.

სოფლის კრებები 28 თებერვლამდე ჩვენი მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში უნდა ჩატარდეს, სადაც აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს სოფლის თითოეულმა წარმომადგენელმა. სამუშაოების დაწყების თარიღად კი 1 აპრილია ჩანიშნული. სამუშაოების დაწყებას გააადვილებს ის ფაქტიც, რომ აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად ტენდერის გამოცხადება არ არის საჭირო.

პარალელურად, ჩვენი მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე განხორციელდება ის საპროექტო სამუშაოები, რომლებიც ადგილობრივი ბიუჯეტისა და სახელმწიფო ბიუჯეტით, ასევე რეგიონული განვითარების ფონდიდან დაფინანსდება“.

როგორც მერის მოადგილემ პაატა ასრათაშვილმა აღნიშნა – 2019 წლის პირველი დღეებიდანვე ჩვენი, მერიის, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის, თითოეული ჩვენი თანამშრომლის მუშაობა უნდა წარიმართოს მაღალი პასუხისმგებლობით და შედეგზე ორიენტირებით.

თათბირზე მერის წარმომადგენლებს გააცნეს თითოეულ სოფელზე გამოყოფილი თანხების ოდენობა და საერთო კრების გამართვის გრაფიკი:

| დასახლების სახელწოდება | საერთო კრების სხდომის ან კონსულტაციის გამართვის თარიღი და დრო | პროექტის საორიენტაციო ზღვრული ღირებულება, ლარი |
|---|---|---|
| სოფ.კოჭბაანი(149 კაცი) | 22.01.2018წ. 11 სთ. კოჭმბაანი, ადმინისტრაციული შენობა | 5000ლ |
| სოფ.ოთარაანი(32) | | 5000ლ |
| სოფ.სასადილო(105) | | 5000ლ |
| სოფ.გორანა(110) | | 5000ლ |
| სოფ. იკვლივ გორანა (44) | | 5000ლ |
| სოფ.გომბორი(916) | 22.01.2018წ. 13 სთ გომბორი, ადმინისტრაციული შენობა | 8000ლ |
| სოფ.რუსიანი(91) | | 5000ლ |
| სოფ.ვერონა(105 | | 5000ლ |
| სოფ.ვაშლიანი(23) | | 5000ლ |
| სოფ. ასკილაური (135) | | 5000ლ |
| სოფ.უჯარმა(860), | 22.01.2018წ. 15 სთ ადმინისტრაციული შენობა | 8000ლ |
| სოფ.პალდო(58) | | 5000ლ |
| მუხროვანი (16) | | 5000ლ |
| სოფ.ხაშმი(1730) | 23.01.2018წ. 11 სთ ადმინ. შენობა | 10000ლ |
| სოფ.პატარძეული(3108) | 23.01.2018წ. 13 სთ ადმინ. შენობა | 10000ლ |
| ნინოწმინდა (2620) | 23.01.2018წ. 15 სთ ადმინ. შენობა | 10000ლ |
| წყაროსთავი (1200) | 23.01.2018წ. 15 სთ ადმინ. შენობა | 10000ლ |
| სოფ .გიორგიწმინდა(2775) | 24.01.2018წ. 11სთ გიორგიწმინდა, ადმინისტრაციული შენობა | 10000ლ |
| სოფ .ანთოკი(105) | | 5000 ლ |
| სოფ.მარიამჯვარი(60) | | 5000 ლ |
| თოხლიაური (1108) | 24.01.2018წ. 13სთ ადმინ. შენობა | 8000ლ |
| მანავი (3336) | 24.01.2018წ. 17სთ ადმინ. შენობა | 10000ლ |
| ბურდიანი (45) | | 5000ლ |
| საგარეჯო (12700) | 24.01.2018წ. 15სთ ადმინ. შენობა | 10000ლ |
| დიდი ჩაილური (1153) | 25.01.2018წ. 11სთ ადმინ. შენობა | 8000ლ |
| პატარა ჩაილური (1147) | 25.01.2018წ. 13სთ ადმინ. შენობა | 8000ლ |
| კაკაბეთი (3341) | 25.01.2018წ. 15სთ ადმინ. შენობა | 10000ლ |
| ვერხვიანი (568) | 25.01.2018წ. 17სთ ადმინ. შენობა | 8000ლ |
| ყანდაურა (1311) | 28.01.2018წ. 11სთ ყანდაურა ადმინისტრაციული შენობა | 10000ლ |
| ზემო ყანდაურა (43) | | 5000ლ |
| ბადიაური (1575) | 28.01.2018წ. 13სთ ადმინ. შენობა | 10000ლ |
| მზისგული (760) | 28.01.2018წ. 15სთ ადმინ. შენობა | 8000ლ |
| შიბლიანი (667) | 28.01.2018წ. 17სთ ადმინ. შენობა | 8000ლ |
| სოფ.იორმუღანლო(2547) | 29.01.2018წ. 11სთ საზოგადოებრივი ცენტრი | 10000ლ |
| სოფ.ქეშალო(3953) | | 10000ლ |
| .სოფ.ზემო ლამბალო(4402) | 29.01.2018წ. 13სთ ადმინისტრაციული შენობა | 10000ლ |
| სოფ.ქვემო ლამბალო(4532) | | 10000ლ |
| თულარი (4297) | 29.01.2018წ. 15სთ საჯარო სკოლა | 10000ლ |
| კაზლარი (1752) | | 10000ლ |
| დუზაგრამა(1196) | 29.01.2018წ. 17სთ ადმინისტრაციული შენობა | 8000ლ |
| სოფ.პალდო(1146) | | 8000ლ |
| სოფ.წიწმატიანი(1167) | | 8000ლ |
| უდაბნო (830) | 30.01.2018წ. 11სთ სარიტუალო დარბაზი | 8000ლ |
| სათაფლე (145) | 30.01.2018წ. 13სთ ადმინისტრაციული შენობა | 5000ლ |

# მუნიციპალური გვერდი

## საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი (პროექტი)

**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის მორიგ სხდომაზე საკითხზე „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, საკრებულოს წევრებს პროექტი ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა*** **თინათინ ძაბილაშვილმა** წარუდგინათ.

გთავაზობთ აღნიშნულ პროექტს შემოკლებით:

**საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები**

**წარმომადგენლობითი** და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება;

თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება;

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია;

განათლება;

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები;

მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.

***1. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება (პროგრამული კოდი 01 00)***

**პროგრამის მიზანი:** თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება, სამსახურის წინაშე დასმული ამოცანების კომპეტენტურად და წარმატებით გადაწყვეტა, სისტემაში შემავალი სტრუქტურული ერთეულების და ტერიტორიული ორგანოების საქმიანობის პროცესში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა და შემდგომში თითოეული მათგანის კომპეტენციის ფარგლებში შესრულებული სამუშაოების ეფექტურობის ამაღლება.

**პროგრამის აღწერა:** პრიორიტეტი მოიცავს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც ადმინისტრაციული ხასიათისაა და ხელს უწყობს სისტემის გამართულ ფუნქციონირებას, როგორიცაა მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების, მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ასევე მოიცავს ბიუჯეტის სარეზერვო ფონდს, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდს, სესხის მომსახურებას და ვალების დაფარვის ხარჯებს, გენდერულ საკითხებთან დაკავშირებული ღონისძიებებს,რომლებიც ითვალისწინებს დაეხმაროს ადგილობრივ მოსახლეობას, განსაკუთრებით ქალებს, მუნიციპალიტეტთან ურთიერთობაში და გაზარდოს ქალების და კაცების თანაბარი მონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

***2. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 02 00)***

**პროგრამის მიზანი:** საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის წვევამდელთა აღრიცხვა, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფის განხორციელება.

**პროგრამის აღწერა:** მოიცავს სამხედრო აღრიცხვის, მობილიზაციის და გაწვევის სამსახურის შენახვის ხარჯებს.

***3. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)***

ინფრასტრუქტურის განვითარება კვლავ ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტად რჩება მუნიციპალიტეტისათვის.

***3.1 საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 03 01)***

**პროგრამის მიზანი:** საავტომობილო გზებზე მგზავრთა შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა.

პროგრამის აღწერა: ბოლო წლების განმავლობაში მუნიციპალიტეტის გზების მნიშვნელოვანი სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების მიუხედავად გზების გარკვეული ნაწილი მოითხოვს რეკონსტრუქციას,განახლება-მოდერნიზებას, კერძოდ, მოასფალტდება ქ.საგარეჯოში წმინდა გიორგის ეკლესიასთან მისასვლელი გზა სათავის ქუჩის მონაკვეთი, სარაჯიშვილის ქუჩა, მარჯანიშვილის ქუჩა, გ.ქურდიანის ქუჩის მონაკვეთი ღვთისმშობლის ეკლესიამდე, რუსთაველის ქუჩის მონაკვეთი წიფლის ხევის მიმდებარედ; თამარ მეფის ქუჩაზე მოეწყობა ტროტუარები, მოასფალტდება და აღდგება სანიაღვრე არხები; ჯაფარიძის ქუჩაზე მოეწყობა ტროტუარები; მოხდება სოფელ უდაბნომდე მისასვლელი გზის აღდგენა, სოფელ ხაშმის შიდა გზის მოასფალტება და სკოლისკენ მიმავალ გზაზე ქვის ფენილის მოწყობა; სოფელ მანავში „ტურის უბანში“ დაიგება ასფალტ/ბეტონის გზის საფარი; მომზადდება სოფელ გიორგიწმინდის სასაფლაოსთან მისასვლელი გზის მოასფალტების სამუშაოების პროექტი; განხორციელდება მუნიციპალიტეტის შიდა გზების ორმული შეკეთება.

***3.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 03 02)***

**პროგრამის მიზანი:** წყლის სისტემების, გარე განათების ქსელის, დასუფთავების მუნიციპალური სერვისის გამართული ფუნქციონირება.

**პროგრამის აღწერა:** პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების ქსელის გაფართოვება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და მისი ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება, ქალაქ საგარეჯოს და მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება, მუნიციპალიტეტის სოფლებიდან ნაგვის გატანა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყალმომარაგების სათავე-ნაგებობების და ქსელების მოვლა-შენახვა,ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია, სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია და გაწმენდა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ხევების ნატანებისაგან გაწმენდა.

***ა. წყლის სისტემების მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 01)***

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასმელი წყლის სათავე-ნაგებობების, არსებული წყალმომარაგების ქსელების სარეაბილიტაციო ღონისძიებების ჩატარება, სასმელი წყლის ჭაბურღილების რეაბილიტაცია. დასრულდება ***სოფელ კაკაბეთის*** სასმელი წყლის ქსელის მოწყობის სამუშაოები; განხორციელდება ***სოფ.თოხლიაურში,*** სათავე-ნაგებობიდან სოფლამდე სასმელი წყლის მილის მოწყობა, ***სოფ. გიორგიწმინდაში*** ე.წ.”ნავრობის “ ხევზე არსებული სათავე-ნაგებობების და ***სოფელ ნინოწმინდის*** სათავე-ნაგებობის შემოღობვა,სანიტარული ზონის მოწყობა; ***მზისგულში*** სათავე-ნაგებობებზე სადრენაჟე სისტემის გაწმენდა-რეაბილიტაცია და ნაგებობების შემოღობვა, ***ბადიაურში*** 50 მ 3 ტევადობის რეზერვუარის და შიდა საუბნო ქსელის მოწყობა, ასევე არსებულ სატუმბ სადგურთან რკინა-ბეტონის რეზერვუარის და”ჭების” შეკეთება-რეაბილიტაცია, ***ყანდაურაში*** 50 მ 3 ტევადობის რეზერვუარის მოწყობა და დაზიანებული სასმელი წყლის დ-63 მმ-იანი პოლიეთილენის მილის 2 000 გრძ/მ-ის ამოცვლა ახლით,ასევე ე.წ.”ალაკნის”(წყალზე) უბანში 25 მ 3 ტევადობის ახალი ემალირებული რეზერვუარის შეძენა-მონტაჟი, ***ზემო ყანდაურაში*** 16 მ 3 ტევადობის ლითონის ემალირებული რეზერვუარის მოწყობა არსებულ ქსელთან დაერთებით, ***კოჭბაანში*** 2 ცალი რკინა-ბეტონის დაზიანებული რეზერვუარის შეკეთება-რეაბილიტაცია და სათავე ნაგებობის სადრენაჟე სისტემის გაწმენდა, ***უჯარმაში*** სარწყავი წყლის დ-110 მმ-იანი და დ-63 მმ-იანი პოლიეთილენის მილებით მოწყობა. ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების ტერიტორიაზე არსებული სათავე-ნაგებობების, რეზერვუარების, შიდა საუბნო და ცენტრალური ქსელების, სატუმბი სადგურების*** მოვლა–პატრონობა (დარეგულირება) და რეცხვა–დეზინფექცია სადეზინფექციო საშუალებებით. წყლის საანალიზო სინჯების აღება არსებულ სანიტარულ ნორმებთან მისი შესაბამისობის დადგენის მიზნით, ასევე მიმდინარე შეკეთების სამუშაოების ჩატარება.

***ბ. გარე განათების მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 02)***

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ქუჩების განათება. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია და არსებული ნათურების ნაწილის შეცვლა ახალი დიოდური სანათებით, საგარეჯოში ***დავით აღმაშენებლის და რუსთაველის ქუჩებზე*** მოხდება არსებული სანათების ამოცვლა „LED 150W“ სანათებით. მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების დაფარვა. განხორციელდება ახალი გარე განათების მოწყობა ***ქ.საგარეჯოში მარჯანიშვილის ქუჩაზე, ერისთავის ქუჩაზე,წიფლის ხევის მიმდებარედ, სოფელ ვერხვიანში, სოფელ მარიამჯვარში, სოფელ პატარძეულში და სოფელ შიბლიანში.***

***გ. გარემოს დაცვითი ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 03)***

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქ საგარეჯოს ***49 ქუჩიდან,*** სოფელ გიორგიწმინდის, ნინოწმინდის, წყაროსთავის, პატარძეულის, თოხლიაურის და მანავის მოსახლეობიდან, ფიზიკური და იურიდიული პირებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენის გატანა ორ დღეში ერთხელ. სოფელ ხაშმიდან, სოფელ დიდი ჩაილურიდან და სოფელ პატარა ჩაილურიდან სამ დღეში ერთხელ.მუნიციპალიტეტის დანარჩენი სოფლებიდან ნაგვის გატანა კვირაში ორჯერ მუნიციპალიტეტის ნაგავმზიდი მანქანებით; ასევე, განხორციელდება ქალაქ საგარეჯოს ცენტრალური ქუჩების და მოედნების დაგვა–დასუფთავება, წყალსადინარი არხების გაწმენდა ქ.საგარეჯოში, სოფელ გიორგიწმინდის და ნინოწმინდის ცენტრალურ ქუჩებზე, „ტიკიაურის ხევის“ სანიაღვრე არხის გაწმენდა და მოვლა-პატრონობა. ზამთრის პერიოდში გზების ტექნიკური მარილით დამუშავება,ჭარბი თოვლისაგან გაწმენდა, საყოფაცხოვრებო ნარჩენებისთვის ახალი ბუნკერების შეძენა, ქალაქის ტერიტორიაზე არსებული ბაღების, სკვერების, გაზონების მოვლა–პატრონობა. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიაღვრე არხების მოწყობა, არსებული ხევების კალაპოტების ნატანებისაგან გაწმენდა, არ მოხდეს მოსახლეობის კუთვნილი საკარმიდამო ნაკვეთების დატბორვა, არ მოხდეს წყლის ნაკადის ცენტრალურ გზაზე გადასვლა და ტრანსპორტის გადაადგილების შეფერხება, ასევე გზების გაწმენდის სამუშაოები. დაფინანსდება ამ მიმართულებით გამოსაყენებელი მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ტექნიკის შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯები და მოხდება შპს „საგარეჯო“-ს და შპს „სუფთა მუნიციპალიტეტი 2018“-ის სუბსიდირება.

***3.3. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 04)***

პროგრამის მიზანი: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სივრცეების მოწესრიგება-რეაბილიტაცია, ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაციის მხარდაჭერის დაფინანსება.

**პროგრამის მიზანი:** პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების რეაბილიტაცია-კეთილმოწყობა და მოვლა-პატრონობა. დაფინანსდება კეთილმოწყობის სხვადასხვა ღონისძიებები, კერძოდ გათვალისწინებულია ქ.საგარეჯოში იმედის ქუჩაზე მდებარე მრავალბინიანი 4 კორპუსის შენობის სახურავების რეაბილიტაცია და 2 კორპუსის ეზოში ასფალტის საფარის დაგება, ქ.საგარეჯოში ელექტრო საათის მოწყობა და კახეთის გზატკეცილზე ე.წ. „საავადმყოფოს“ მიმდებარე კორპუსებთან არსებული მინი სტადიონის რეაბილიტაცია. სოფელ გომბორში საჭიდაო დარბაზის მოწყობა, სოფელ ბადიაურში ახალი სპორტდარბაზის მოწყობა.

***4. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)***

საბავშვო ბაგა–ბაღების აღსაზრდელთა განვითარების ხელშეწყობა და სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო-სააღმზრდელო გარემოს მნიშვნელოვან გაუმჯობესებას, საზოგადოების აქტიურ ჩართვას მიმდინარე საგანმანათლებლო-სააღმზრდელო პროცესებში, მათი ინტელექტუალური და შემოქმედებითი უნარების სტიმულირებას, ადგილობრივი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებების მუშაობის გაუმჯობესებას, დახვეწასა და მოსახლეობის ინტერესებზე მორგებას. ეროვნული უმცირესობის სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას. პრიორიტეტის ფარგლებში ხორციელდება ასევე, ზოგადი, პროფესიული და ზრდასრულთა განათლების ხელშეწყობა, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის ხელშეწყობა და სხვა.

***4.1 სკოლამდელი განათლება (პროგრამული კოდი 04 01)***

**პროგრამის მიზანი:** სკოლამდელი ასაკის ბავშვების სკოლისთვის მზაობა. პროგრამის აღწერა: პროგრამა უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ეფექტიან ფუნქციონირებას, ეს არის სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამა/მეთოდოლოგის დახვეწა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის (ეზო, შენობა, ინვენტარი და სხვა) განვითარება, ბაგა-ბაღების პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება, საბავშვო ბაგა-ბაღების მაქსიმალური გამტარუნარიანობა - სკოლამდელი აღზრდის მომსახურების მიღების მსურველთა არსებული მოთხოვნის რაოდენობის მაქსიმალურად დაკმაყოფილებისთვის სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება,მათ შორის: ახალი ბაგა-ბაღების მშენებლობა, არსებულ ბაგა-ბაღებში სააღმზრდელო ჯგუფების მოწყობა, ბავშვების სხვადასხვა სოფლებიდან ტრანსპორტირება. 2019 წელს გათვალისწინებულია სოფელ პატარძეულის 2, კაკაბეთის 2, უჯარმის საბავშვო ბაღების სრული რეაბილიტაცია, აგრეთვე საგარეჯოს 4 საბავშვო ბაღის ერთი ოთახის მოწყობა და რეაბილიტაცია. პროგრამას ახორციელებს საგარეჯოს მუნიციპალიტეტი და ა(ა)იპ „საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება“. საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 28 სკოლამდელი დაწესებულება და ორი ალტერნატიული ჯგუფი (60 ბავშვით), სადაც სწავლობს 1335 აღსაზრდელი, კვება გათვალისწინებულია 1275 ბავშვის.

***4.2 სკოლისგარეშე განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 03)***

**პროგრამის მიზანი:** მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ინტელექტუალური, შემოქმედებითი, სულიერი და ფიზიკური პოტენციალის გამოვლენა, მოსწავლე-ახალგაზრდების (6-18 წლამდე) ინტელექტუალურ-შემეცნებითი, ესთეტიკური და არაფორმალური განათლების ხელშეწყობა და ამ მიზნების განსახორციელებლად შესაბამისი პირობების შექმნა.

**პროგრამის აღწერა**: მოზარდთა ინტერესების შესაბამისად პროფილური წრეების, ცენტრების, კლუბებისა და სტუდიების შექმნის ხელშეწყობა, მოსწავლე-ახალგაზდობის შემეცნებით-შემოქმედებითი პროგრამების განხორციელება. ასევე, არაქართველი მოსახლეობისთვის ქართული ენის შესწავლა. პროგრამის ფარგლებში საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროექტებისა და ინიციატივების განხორციელება, აგრეთვე ითვალისწინებს 2019 წელს შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოებს.

***5. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)***

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. საგარეჯოს მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი შესაძლებლობების გამოვლენა.

***5.1 სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)***

**პროგრამის მიზანი:** ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება-პოპულარიზაცია. პროგრამის აღწერა: პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ნაკრების და ასაკობრივი გუნდების მოზადებას და მონაწილეობას საერთაშორისო და ადგილობრივ სხადასხვა სახეობის (ჭადრაკის, ფეხბურთის, თავისუფალი ჭიდაობის, ძიუდოს როგორც ვაჟთა, ისე გოგონათა, კრივის, მკლავჭიდის, ბერძნულ-რომაული ჭიდაობის, რაგბის, კალათბურთის) სპორტულ ღონისძიებებში (მსოფლიო, ევროპის და საქართველოს ჩემპიონატები, პირველობები, თასების გათამაშებები, მასობრივი სპორტული ღონისძიებები, საერთაშორისო ტურნირები, სასწავლო საწვრთნელი შეკრებები); სპორტის სხვადასხვა სახეობის ეროვნულ ფედერაციებთან, სპორტულ ასოციაციებთან, სხვადასხვა სპორტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობას, მწვრთნელ-მასწავლებელთა და სპორტსმენთა სოციალური და მატერიალური პირობების გაუმჯობესებას; 2019 წელს აღსაზრდელების და მათი მშობლების მოთხოვნით დაემატება ტანვარჯიშის, კარატეს, კალათბურთის, ფრენბურთის სექციები; მოეწყობა სოფ.გომბორში საჭიდაო დარბაზი და მოხდება ქ.საგარეჯოში „კახეთის გზატკეცილზე ე.წ.”საავდმყოფოს” მრავალბინიანი საერთო საცხოვრებლების მიმდებარედ არსებული მინისტადიონის რეაბილიტაცია.

***5.2 კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)***

**პროგრამის მიზანი:** მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების მხარდაჭერა, განვითარება და მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლება. პროგრამის აღწერა: რაც ითვალისწინებს ხელოვნებისა და კულტურის ობიექტების ხელშეწყობას; სახელოვნებო განათლების და ხელოვნების დარგების პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების მხარდაჭერას; ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების მოვლა-პატრონობას და სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის შესაბამისი პირობების შექმნას; მუზეუმების პოპულარიზაციისა და განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებებს; მუზეუმების საგამოფენო-საექსპოზიციო საქმიანობის გააქტიურებას კულტურულ-საგანმანათლებლო ფუნქციების განვითარებითა და გაძლიერებით; ბიბლიოთეკების მომხმარებლებისათვის გაუმჯობესებული სერვისების შეთავაზებას, სოციალურ-კულტურული ღონისძიებების განხორციელებას, ახალი თაობების დაინტერესებას წიგნით და საზოგადოების განათლებისთვის საჭირო ინფორმაციით. თეატრალური ხელოვნებისათვის ხელშემწყობი გარემოს შექმნას, ადგილობრივი თეატრის ხელშეწყობას სპექტაკლების დადგმის ხარჯის გაწევით და ტექნიკური აღჭურვით; პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული იქნება კულტურის სფეროს დაწესებულებები, როგორიცაა ბიბლიოთეკა, მუზეუმი, კულტურის სახლი, სამუსიკო სკოლა, ხელოვნების სკოლები და სხვა. 2019 წელს ტრადიციულად განხორციელდება საახალწლო ღონისძიება,ჩატარდება „დავით გარეჯობისთვის“ მიძღვნილი ღონისძიება, აგრეთვე გათვალისწინებულია ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურის ძეგლების რეაბილიტაციის პროექტების შესყიდვა.

***5.3 ახალგაზრდობის მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 03)***

**პროგრამის მიზანი:** ახალგაზრდული ორგანიზაციების საქმიანობის არეალის გაფართოვება და მათი აქტივობის ზრდა.

პროგრამის აღწერა: პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომელიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის

დასასრული მე-3 გვერდზე

# მუნიციპალური გვერდი

## საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი (პროექტი)

**დასასრული**

მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის განვითარებაში, განხორციელდება ახალგაზრდული ბანაკები; ახალგაზრდული ცენტრების ბაზაზე ჩატარდება ადგილობრივი მასშტაბის ახალგაზრდული ღონისძიებები; ახალგაზრდებისთვის განხორციელდება გასართობი, შემეცნებითი და სხვა ღონისძიებების ორგანიზება და მხარდაჭერა.

***5.4საგამომცემლო საქმიანობა (პროგრამული კოდი 05 04)***

**პროგრამის მიზანი:** მოსახლეობის დაინტერესების გაზრდა გაზეთის მიმართ. პროგრამის აღწერა: ადგილობრივი საინფორმაციო გაზეთის გამოცემა უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტში მიმდინარე სიახლეების შესახებ მოსახლეობის ინფორმირებას.

***6. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)***

ჯანდაცვის მიმართულებით მუნიციპალიტეტში ხორციელდება სახელმწიფოს მიერ დელეგირებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამები, მოსახლეობის სოციალური დაცვის მიმართულებით გაგრძელდება ისეთი პროგრამების დაფინასება, რომელიც გაზრდის სოციალურად დაუცველი ფენის ხელმისაწვდომობას ჯანდაცვის სხვადასხვა სამედიცინო სერვისებზე.

***6.1 ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი 06 01)***

**პროგრამის მიზანი**: ადგილობრივი თვითმმართველობის დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში ადამიანის უსაფრთხო გარემოს შექმნის ხელშეწყობა. პროგრამის აღწერა: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით, დერატიზაციის, დეზინფექციის და საბონიფიკაციო ღონისძიებების ორგანიზება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდემიური კვლევის ხელშეწყობა. მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა. პროგრამის ფარგლებში ასევე განხორციელდება სოფლის ამბულატორიების მომსახურება, ექიმთა დამაგრების მიზნით ხელფასზე დანამატის დაფინანსება (სოფელი უდაბნო მუნიციპალიტეტის ცენტრიდან დაშორებულია 30 კმ-ით, სოფელში არის ამბულატორია, მაგრამ მძიმე პირობების გამო ჭირს ექიმთა სოფელში დამაგრება).

***6.2 სოციალური პროგრამები (პროგრამული კოდი 06 02)***

**პროგრამის მიზანი:** მოსახლეობისთვის ჯანდაცვის და სოციალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.

**პროგრამის აღწერა:** სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ყოველთვიურად განახლებადი მონაცემთა ბაზების შესაბამისად, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირებულ ოჯახებს, ასევე მოსახლეობის იმ კატეგორიას, რომლებიც არ არიან რეგისტრირებულნი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, მაგრამ მათი სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე საჭიროებენ მხარდაჭერას გაეწევათ სხვადასხვა ტიპის დახმარებები.

სოციალურად დაუცველი 0-დან 140000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე პირთა, შშმპ, ეპილეფსიით დაავადებულ პირთა, ონკოლოგიური დაავადებების მქონე პირთა და ვეტერანთა მედიკამენტებით დახმარება, ფენილ კეტონურიით და სხვა იშვიათი და სიცოცხლისათვის საშიში დაავადების მქონე პირთა მედიკამენტებით და სხვა საჭირო საკვები დანამატებით უზრუნველყოფა, -ტიპის დიაბეტით დაავადებული 18 წლამდე ბავშვებისთვის დახმარება და სამედიცინო დამხმარე საშუალებების დაფინანსება შშმ, სოციალურად დაუცველი და ონკოლოგიური პაციენტებისთვის.

სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა სტაციონარული მკურნალობის და ოპერაციის დაფინანსება ღირებულების 70%-ით (არაუმეტეს 1000 ლარისა, 3000 ლარზე მეტი გადასახდელი თანხის შემთხვევაში არაუმეტეს 1500 ლარისა), ლაბორატორიული გამოკვლევების დაფინანსება ან თანადაფინანსება სოციალურად დაუცველ, შშმ პირთა, ვეტერანთა, 9 აპრილის დაზარალებულთა, C ჰეპატიტის პროგრამაში ჩართულ პირთა და ონკოლოგიური ავადმყოფთათვის. ღირებულების 50%-ით (არაუმეტეს 500 ლარისა), სამედიცინო დამხმარე საშუალებების დაფინანსება შშმ, სოციალურად დაუცველი და ონკოლოგიური პაციენტებისთვის. უპატრონო და არაიდენტიფიცირებული მიცვალებულის, სოციალური სტატუსის მქონე პირთა დაკრძალვის ხარჯი და დევნილი პირის დაკრძალვის ხარჯი თითოეულზე 300 ლარის ოდენობით, დიალიზზე მყოფ მოქალაქეთა დახმარება (ტრანსპორტის ხარჯი) თითოეულზე თვეში 100 ლარი, 95 წელს გადაცილებული ხანდაზმულების დახმარება თითოეულზე 200 ლარი, სტიქიური უბედურების შედეგად დაზიანებული სახლების მაცხოვრებელთა საცხოვრებლით უზრუნველყოფა (ბინის ქირის ასანაზღაურებელი კომპენსაცია), საგარეჯოს ადგილობრივ ხელისუფლებაში მომუშავე სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული პირის ოჯახის სოციალური დაცვა. ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე განხორციელდება 0-დან 140000 ქულამდე სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი (4 და მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვი) ოჯახების მატერიალური დახმარება (ოჯახზე 400 ლარი), ახალშობილთა დახმარება ( 300 ლარი) და მარტოხელა დედების დახმარება (200 ლარი). ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია უდედმამო ბავშვების (18 წლამდე) დახმარება თვეში 100 ლარის ოდენობით, ს.უდაბნოდან ქ.საგარეჯოში სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ტრანსპორტირება კვირაში ორჯერ მთელი წლის განმავლობაში და სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის სააღდგომო სასურსათო ამანათების გადაცემა. კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი და სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთ წლამდე ასაკის ბავშვთა კვების დაფინანსება სახელმწიფო პროგრამაში ჩართვამდე. სტიქიით ან სხვა განსაკუთრებული შემთხვევით დაზარალებული ოჯახების, უსახლკარო ოჯახების, რომელთა ავარიული საცხოვრებელი სახლი საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, ასევე, საცხოვრებლით უზრუნველყოფა მარტოხელა სტატუსის მქონე პირთათვის და ძალადობის ან ტრეფიკინგის მსხვერპლთა საცხოვრებლით უზრუნველყოფა. ბინის ქირის უზრუნველყოფა ოჯახებისთვის რომელთაც ჰყავთ ორი ან ორზე მეტი შშმ პირი. სოციალურად დაუცველი ოჯახების ობოლ სტუდენტთა და შშმ პირი სტუდენტის სწავლების თანადაფინანსება. ელექტროენერგიის საფასურის თანადაფინანსება. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ინდივიდუალური სახლების მშენებლობის სოციალური პროგრამა. სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი, სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახებისთვის საყოფახოვრებო ტექნიკის შეძენა., ტექნიკუმის შენობაში მცხოვრები ეტლით მოსარგებლე შშმ პირისთვის პანდუსის მოწყობა. მერიის ბალანსზე არსებული შენობათავშესაფრების დროებით სარგებლობაში გადაცემულ ფართებში მცხოვრები პირებისთვის მინიმალური საყოფაცხოვრებო პირობების შექმნა. ზამთრის სეზონზე 2018 წლის ნოემბერ-დეკემბერისთვის სოციალურად დაუცველი ოჯახებზე ერთჯერადად გათბობის ხარჯის გაცემა. ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების (18 წლამდე) დახმარება 300 ლარის ოდენობით, უმწეო მდგომარეობაში მყოფი 220 ბენეფიციარის ყოველდღიურად კვებით უზრუნველყოფა, რისთვისაც ქალაქ საგარეჯოში ფუნქციონირებს 2 უფასო სასადილო. ხანდაზმულთა დღის ცენტრის მენეჯერის ხელფასის და კომუნალური გადასახადების გადახდა, ხანდაზმულთა (90 წლის და მეტი) დახმარება. სამამულო ომის მონაწილეთა დახმარება და დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურება თითოეულ ბენეფიციარზე 250 ლარის ოდენობით. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში დაღუპულთა ოჯახის დახმარება.

***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი***

*I. შემოსავლები 12,050.6*
*გადასახადები 10,655.6*
*გრანტები 210.0*
*სხვა შემოსავლები 1,185.0*
*II. ხარჯები 9,050.0*
*შრომის ანაზღაურება 1,959.0*
*საქონელი და მომსახურება 2,055.3*
*პროცენტი 28.1*
*სუბსიდიები 4,192.3*
*გრანტები 12.5*
*სოციალური უზრუნველყოფა 587.9*
*სხვა ხარჯები 214.9*
*III. საოპერაციო სალდო 3,000.6*
*IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება 2,982.6*
*ზრდა 3,132.6*
*კლება150.0*
*V. მთლიანი სალდო 18.0*
*VI. ფინანსური აქტივების ცვლილება0.0*
*ზრდა0.0*
*ვალუტა და დეპოზიტები0.0*
*კლება0.0*
*ვალუტა და დეპოზიტები0.0*
*VII.ვალდებულებების ცვლილება-18.0*
*ზრდა0.0*
*კლება-18.0*
*საშინაო-18.0*
*ბალანსი 0.000*

## საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიასთან არსებული თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2018 წლის ანგარიში

**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის მერიასთან არსებული თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით – ბრძანებით. კომისიის წევრთა რაოდენობა არის კენტი. შედგება 7 კომისიის წევრისგან; აქედან 1 - კომისიის თავმჯდომარე, 2 - კომისიის წევრი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, 1 - კომისიის წევრი მოწვეული საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელი, 3 - კომისიის წევრი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული სამსახურის უფროსი სპეციალისტებისგან და პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების და ქონების მართვის სამსახურის უფროსი სპეციალისტისგან.

თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარებისათვის, უფლებამოსილია შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსთან (საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიასთან) არსებული თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია, რომელიც თავის ფუნქციებს ახორციელებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VIII თავით განსაზღვრული ფორმალური ადმინისტრაციული წარმოებით.

კომისია დამოუკიდებელია და ანგარიშვალდებულია შესაბამისი მუნიციპალიტეტის მერის წინაშე, ხოლო მუნიციპალიტეტის მიერ მასზე დელეგირებული უფლებამოსილების კანონიერად და ჯეროვნად შესრულების მიზნით, მის საქმიანობაზე დარგობრივი ზედამხედველობა, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ დადგენილი წესით, ხორციელდება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ. არავის აქვს უფლება, მოახდინოს რაიმე ზეგავლენა ან/და ჩაერიოს კომისიის საქმიანობაში, გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

კომისიას აქვს ბეჭედი მუნიციპალიტეტის გერბის გამოსახულებითა და საკუთარი სახელწოდების აღნიშვნით.

კომისია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს „საქართველოს კონსტიტუციით“, საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით“, საქართველოს კანონით „სახელმწიფო ქონების შესახებ“, საქართველოს კანონით „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 ივლისის 376 დადგენილებით „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით და სხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

კომისიის მუშაობაში, სათათბირო ხმის უფლებით, შეიძლება მოწვეული იქნენ კომისიის უფლებამოსილების სფეროსადმი მიკუთვნებულ საკითხებში კომპეტენტური, შესაბამისი ცოდნისა და გამოცდილების მქონე ექსპერტები/სპეციალისტები და სხვადასხვა საჯარო დაწესებულების, მათ შორის, სააგენტოს წარმომადგენლები. „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის, საკადასტრო აღწერის შედეგების საჯარო გაცნობისათვის წარდგენის, მათი გადამოწმებისა და შესაბამისი ცვლილებების შეტანისა და მედიატორის შერჩევის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ შემთხვევაში, სათათბირო ხმის უფლებით, კომისიის მუშაობაში მონაწილეობას იღებს აგრეთვე სააგენტოს/განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროექტის განმახორციელებლის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის/ტერიტორიული ერთეულის თანამშრომელი.

კომისია, კანონმდებლობით დადგენილი წესით, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, გადაწყვეტილებას იღებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით - განკარგულებით.

კომისიის გადაწყვეტილება მიიღება კომისიის სხდომაზე.

კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კომისია საქმიანობას ეწევა კომისიის სხდომების მეშვეობით. კომისიის სხდომები ტარდება საჯაროდ. კომისიის სხდომების პერიოდულობას განსაზღვრავს კომისია.

კომისია ვალდებულია, 2 სამუშაო დღით ადრე, შესაბამისი მუნიციპალიტეტის გამგეობის/მერიის საინფორმაციო დაფაზე გამოაქვეყნოს, ხოლო დაინტერესებულ პირს, 7 დღით ადრე, წერილობით აცნობოს ინფორმაცია, მომავალი სხდომის, მისი ჩატარების ადგილის, დროისა და დღის წესრიგის შესახებ.

კომისია უფლებამოსილია, თუ მის სხდომებს ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი, მაგრამ არანაკლებ 3 წევრისა.

დაინტერესებული პირი უფლებამოსილია, დაესწროს კომისიის სხდომებს და მისცეს ახსნა-განმარტება, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

კომისია ვალდებულია, უზრუნველყოს საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევა და დამსწრე დაინტერესებულ მხარეს მისცეს საქმესთან დაკავშირებით საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება.

კომისიის გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობა. კომისიის თითოეულ წევრს აქვს მხოლოდ ერთი ხმის უფლება. ხმების თანაბრად გადანაწილების შემთხვევაში, გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა. ხმის მიცემა წარმოებს ღია კენჭისყრის ფორმით. ხმის მიცემა წარმომადგენლის მეშვეობით დაუშვებელია.

კომისიის წევრს უფლება არ აქვს, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან ან ხმა მისცეს იმ საკითხს, რომლის განხილვაშიც არ იღებდა მონაწილეობას.

კომისიის სხდომები ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, კომისიის ყველა დამსწრე წევრი და კომისიის მდივანი. კომისიის თითოეულ წევრს აქვს უფლება, სხდომის ოქმს წერილობით დაურთოს საკუთარი განსხვავებული აზრი, რომელიც აღინიშნება ოქმში.

კომისია განცხადებას განიხილავს მიღებიდან 2 თვეში. თუ საკუთრების უფლების აღიარებისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დასადგენად აუცილებელია 2 თვეზე მეტი, კომისია უფლებამოსილია, განცხადების განხილვის ვადა დამატებით გაზარდოს არაუმეტეს 6 თვისა.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 ივლისის №376 დადგენილების „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე წარმოგიდგენთ საქმიანობის ანგარიშს კომისიის მიერ 2018 წლის განმავლობაში განხორციელებული სამუშაოს შესახებ:

- საანგარიშო 2018 წლის განმავლობაში აღიარების კომისიაში შემოსულია 1621 (ათას ექვსას ოცდაერთი) კორესპონდენცია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან
- კომისიის მიერ ჩატარებულია 2018 საანგარიშო წლის განმავლობაში 14 (თოთხმეტი) სხდომა
- განხილულია - დაინტერესებული პირების - 788 (შვიდას ოთხმოცდარვა) განცხადება
- დადებითად გადაწყვეტილია და გაცემულია 530 (ხუთას ოცდაათი) საკუთრების უფლების მოწმობა
- უარყოფითად გადაწყვეტილი საკითხების რაოდენობა - 170 (ასსამოცდაათი) განკარგულება
- განუხილველად დატოვების შესახებ მომზადებულია ინდ.აქტი - 16 (თექვსმეტი) განკარგულება
- ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე მომზადებულია - 12 (თორმეტი) განკარგულება
- შესრულებულია ადგილზე ნივთის დათვალიერება - 30 (ოცდაათი)
- ჩატარებულია ადმინისტრაციული წარმოება - სულ 4 (ოთხი), აქედან 1 - მიმდინარე
- გაცემული კომისიის მიერ თანხმობა კორექტირებასა და ცვლილების რეგისტრაციაზე - 22 (ოცდაორი) აქედან 12 თანხმობა ენერგო პრო ჯორჯიას
- 2018 წელს სასამართლოს წარმოებაში არსებული საქმეების რაოდენობამ შეადგინა - 18 (თვრამეტი), რომელთაგან დღეის მდგომარეობით მიმდინარეა - 15 (თხუთმეტი)

პირველ ინსტანციაში - 14 (თოთხმეტი)

მეორე ინსტანციაში - 1 (ერთი) სასამართლო საქმე.

პაატა ასრათაშვილი

***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიასთან არსებული თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის თავმჯდომარე***

# სწავლის მაძიებელთათვის

## ილია ჭავჭავაძის საზოგადოებრივი კოლეჯის ახალი გამარჯვება

### საგარეჯოს კოლეჯმა მეექვსედ გაიარა ავტორიზაცია

***კოლეჯის სამომავლო გეგმებზე ვესაუბრეთ სასწავლებლის საინფორმაციო სამსახურის უფროსს ილია მატიაშვილს.***



***– მას შემდეგ, რაც საქართველოს მთავრობამ ერთ-ერთ პრიორიტეტად გამოაცხადა პროფესიული განათლება საოცრად გამკაცრდა კერძო კოლეჯების მიმართ დამოკიდებულება, ჩვენთვის ცნობილია, რომ ბევრი კოლეჯი, რომლებმაც ვერ დააკმაყოფილეს ევროპული სტანდარტი, დაიხურა. გთხოვთ მკითხველს გააცნოთ რა დონეზეა ამჟამად საგარეჯოს კოლეჯი?***

– 2018 წლის 20 დეკემბერს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ავტორიზაციის საპარლამენტო კომისიამ ამჯერად უკვე მეექვსედ მიანიჭა ავტორიზაცია 6 წლით საგარეჯოს კოლეჯს. ეს არის დიდი გამარჯვება, რომელიც მიღწეულია კოლეჯის ნიჭიერი და უნარიანი კოლექტივის, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს, დამსაქმებელთა ასოციაციისა და კერძო კოლეჯების ასოციაციის დიდი ძალისხმევით.

რთული და ეკლიანი გზა გაიარა კოლეჯმა 2000 წლიდან დღემდე. უშუქობას, უგაზობას და ათასნაირ გაჭირვებას გაუძლო, მაგრამ არ უღალატა თავის მისიას - დღე და დღე, წვეთ-წვეთად, ნელ-ნელა განათლება შეგვეტანა ჩვენს ახალგაზრდობაში და ნათელ გზაზე დაგვეყენებინა.

ასრულდა ეს ოცნება. ახლა კოლეჯი თავისი არსებობის მწვერვალზეა - მან უკვე უმაღლესი პროფესიული განათლების კადრი უნდა მისცეს ქვეყანას. ეს არის ჩვენი კოლეჯის მიმართ განათლების სამინისტოს უდიდესი ნდობა.

***– თუ შეიძლება დეტალურად აუხსენით მკითხველს რას სთავაზობს აბიტურიენტებს თქვენი კოლეჯი.***

– ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს ავტორიზებული საზოგადოებრივი კოლეჯი

მდებარეობს საგარეჯოდან თბილისში მიმავალ გზაზე ნინოწმინდის გავლით. იგი ორსართულიან შენობაშია განთავსებული, რომელიც თბილისის გზას ლამაზი სკვერით უერთდება. კოლეჯი საგარეჯოს ცენტრიდან 5-7 წთ. სავალ მანძილზეა.

***კოლეჯი ამზადებს სამი მიმართულების უმაღლეს პროფესიულ სპეციალისტებს:***

***- ბაგა-ბაღის აღმზრდელ მასწავლებელს.***

***- ფარმაცევტს /დასაქმების გარანტით/***

***- მთავარ ბუღალტერს ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით***

***- აგრეთვე IV საფეხურის ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების საოფისე საქმის სპეციალისტს, რომელიც ითავსებს ზოგადი განათლების მოდულს და რომელზედაც გაიცემა საშუალო განათლების ატესტატი 1 წელიწადში /ნაცვლად სამი წლის საშუალო განათლებისა/.***

***- III საფეხურის პროფესიული პროგრამაა ინფორმაციის ტექნოლოგია. მისი მიმართულებაა კომპიუტერის ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსი.***

***- III და IV საფეხურზე მიიღებიან საბაზო განათლების (9 კლ) აბიტურიენტები, V საფეხურზე კი ჩარიცხვა მხოლოდ სრული ზოგადი განათლების ატესტატითაა შესაძლებელი. IV საფეხურზე მიიღებიან 9 და 12 კლასდამთავრებული აბიტურიენტები. 9 კლასდამთავრებულები მიიღებენ ატესტატსაც დიპლომთან ერთად.***

***– თუ შეიძლება გვითხარით რატომ აირჩიეთ ეს პროფესიები?***

– უკვე სამი წელია პროფესიულ განათლებაში მიდის კოლეჯების გადარჩევის პროცესი. ეს გადარჩევა ხდება კოლეჯში ევროპული სტანდარტების დანერგვის კუთხით. ბევრი კოლეჯი ემსხვერპლა მას. 78 კოლეჯიდან ამჟამად მხოლოდ 42 კერძო კოლეჯია საქართველოში. დღეისათვის კახეთის რეგიონში საგარეჯოს კერძო კოლეჯი ერთადერთია, რომელმაც გაუძლო ამ უმკაცრეს მოთხოვნებს.

ჩვენდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მიმდინარე წლის 20 დეკემბერს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის კომისიის გადაწყვეტილებით კოლეჯს მიენიჭა ავტორიზაცია 6 წლით. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ კოლეჯში წარმატებით დავნერგეთ ევროპული სტანდარტი სწავლებაში და აღმოჩნდა, რომ ჩვენ არჩევანში არ შევცდით. ყველა პროფესია მეტისმეტად მოთხოვნადია.

მაგალითად, ბაგა-ბაღის აღმზრდელის პროფესია. დღეს მეტისმეტად დიდი გაჭირვებაა პროფესიონალების კუთხით საბავშვო ბაღებში. ძალიან ცოტა ბაღია დაკომპლექტებული სპეციალისტებით. ეს პროფესია ამჟამად პრიორიტეტულია კახეთის რეგიონისათვის და არა მხოლოდ კახეთისათვის. ჩვენი კოლეჯი კი კახეთში ერთადერთი კოლეჯია, სადაც ეს პროფესიონალები მზადდებიან. თბილისშიც კი იშვიათი კოლეჯია ასეთი მიმზიდველი პროფესიული პროგრამებით დაკომპლექტებული.

რაც შეეხება ფარმაცევტს აქ საქმე უფრო სრულყოფილად გვაქვს. ჯერ ერთი აფთიაქების ფართო ქსელი გვაძლევს დასაქმების სერიოზულ შანსს, მაგრამ ამის გარდა თვით ჩვენს კოლეჯს ხელშეკრულება აქვს კომპანია PSP - ფარმასთან, რომელიც ერთდროულად ჩვენი ფარმაცევტების დამსაქმებელიც არის. ეს კი მთლიანად ხსნის ჩვენი კურსდამთავრებულების დასაქმების პრობლემას.

რაც შეეხება მთავარ ბუღალტერს, რაც ამჟამად ჩვენი ეკონომიკის განვითარების წინაპირობაა, იგი განვითარებული ბიზნესის დასაყრდენია და მისი დასაქმება არავითარ ეჭვს არ იწვევს.

ბიზნესის დასაყრდნია აგრეთვე საოფისე საქმის სპეციალისტი. კომპიუტერის ღრმა ცოდნა, დოკუმენტბრუნვა და საქმისწარმოება ხდის მას ადმინისტრაციაში ხელმძღვანელის თანაშემწედ.

გარდა ამისა, პროფესიული განათლების ახალი კანონით იგი ითავსებს ზოგადი განათლების მოდულს, რაც ნიშნავს, რომ 9 კლასდამთავრებული მოსწავლე ამ პროფესიაზე შემოსვლისას სკოლას სამი წლის ნაცვლად ერთ წელში დაასრულებს და აიღებს ატესტატს. ეს კი ამ პროფესიას მეტისმეტად მიმზიდველს ხდის.

III საფეხურის ინფორმაციის ტექნოლოგის კარიერული შესაძლებლობები დღეისათვის რომ მაღალია, ცხადია, მაგრამ განსაკუთრებით მაღალია მისი დასაქმება თვითდასაქმების კუთხით.

***– რატომ უნდა დაინტერესდეს კახეთის რეგიონში მცხოვრები აბიტურიენტი საგარეჯოს კოლეჯით?***

– საგარეჯოს კოლეჯი არის ავტორიზებული, უმაღლესი კვალიფიკაციის კადრით დაკომპლექტებული, ევროპული სტანდარტის უმაღლესი კოლეჯი.

ყველა საგანმანათლებლო პროგრამა კონკურენტუნარიანი და დასაქმებადია.

საგარეჯო არის პატარა, წყნარი ქალაქი, ორმოცი ათასამდე მცხოვრებით, მუნიციპალიტეტით, სასტუმროებით, სუპერმარკეტებით, ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებით, კულტურის სახლით, მოასფალტებული ქუჩებით და ა. შ. მოძრაობს მიკრო ავტობუსები, ტაქსები, საგარეჯოში არის ბაზარი, კვების ობიექტები, რაც საშუალებას მისცემს ნებისმიერ აბიტურიენტს იცხოვროს ყოველგვარი პრობლემების გარეშე და მიიღოს სასურველი განათლება.

კოლეჯში მაღალხარისხოვანი სწავლის გარდა, შემოგთავაზებენ მასობრივ შემეცნებით, გასართობ ღონისძიებებს - კონფერენციებს, შეხვედრებს სახელოვან ადამიანებთნ, სპორტულ შეჯიბრებებს, ექსკურსიებს, საახალწლო კარნავალს და ა.შ. კოლეჯის ადმინისტრაცია და მთელი კოლექტივი მოწოდებულია იმისათვის, რომ გქონდეთ მშვიდად სწავლის, შრომის და საგარეჯოში დიდი ხნით საინტერესო სტუდენტური ცხოვრების საშუალება.

ისე, რომ სანამ თბილისში წასვლას გადაწყვეტთ, სადაც უამრავი პრობლემა და გაჭირვება გელოდებათ, კიდევ ერთხელ დაფიქრდით და აირჩიეთ წყნარი, პატარა, მაგრამ თქვენთვის წარმატებული, დასაქმების მაღლი გარანტიის მქონე საგარეჯო და ილია ჭავჭავაძის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯი.

საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაყობს იმითაც, რომ მტკიცედ დგას ქვეყნის სამსახურში, თამამად ინაწილებს ხელისუფლების ამოცანის სიმძიმეს უმუშევართა დასაქმების კუთხით.

უკვე სამი წელია კოლეჯი ჩართულია ჯანმრთელობის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს სახელმწიფო პროგრამაში და წარმატებით ახორციელებს სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამას სახელმწიფო დაფინანსებით.

საგარეჯოს კოლეჯის სახელი, მისი ავტორიტეტი გასცდა ჩვენი სამინისტროს ფარგლებს.

სამი თვის წინ კოლეჯს ესტუმრა ევრო კავშირის ექსპერტთა ჯგუფი ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს ინიციატივით. ნანახმა მათზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რამაც მთელი ჩვენი კოლექტივი სიამაყით აავსო და შემდგომი მუშაობისთვის დიდი სტიმული მისცა.

საგარეჯოს კოლეჯი განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ექპერტების ხშირი მასპინძელია. სწორედ მათი დიდი ძალისხმევით, დახმარებითა და ხელშეწყობით მიაღწია ილია ჭავჭავაძის საზოგადოებრივმა კოლეჯმა ასეთ წარმატებებს.

თუნდაც უახლოესი სამი წლის მონაცემებიც კი საკმარისია ამის დასტურად - 125 სახელმწიფო დიპლომი, 284 კოლეჯის ბეჭდითა და გერბით დამოწმებული სერთიფიკატი, 150 მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო ნიშნის სერთიფიკატი, რომელიც 80%-ით სამუშაოს მაძიებელთა დასაქმებით დამთავრდა.

***ძვირფასო მეგობრებო, ცოდნის მაძიებელო აბიტურიენტებო, წარსულს ჩაბარდა დიპლომომანია, ახლა სწავლის შეძენის დროა. ჩვენ სწორედ სწავლების ახალ მეთოდებს გთავაზობთ - კომპიუტერებითა და მონიტორით, ღრმა ანალიზებით, სერიოზული კაბინეტ-ლაბორატორიებით, მოდულური - ევროპული სტანდარტებით. თქვენი სერიოზული განსჯის იმედით გემშვიდობებით.***

***გისურვებთ წარმატებებს თქვენი ჩანაფიქრის განხორციელებაში.***

# საახალწლო ნობათი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობიდან

**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის მერის გიორგი ერბოწონაშვილის ინიციატივით მერის პირველე მოადგილე **ალექსი გილაშვილი**, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი **სოფო შაქარაშვილი** სათნოების სახლის ბენეფიციარებს ესტუმრნენ დამდეგი შობა - ახალი წელი მიულოცეს და საახალწლო ნობათები პირადად გადასცეს.

ადგილობრივი ხელისუფლებისგან საახალწლო საჩუქარი მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე 600-მა შშმ პირმა, მრავალშვილიანმა და მარტოხელა დედებმა, ლტოლვილებმა, სათნოების სახლის ბენეფიციარმა მიიღო. აღნიშნული ოჯახები მუნიციპალიტეტის მასშტაბით ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურმა, ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლებთან ერთად შეარჩია.

აღსანიშნავია, რომ საახალწლო ნობათების რაოდენობა შარშანდელთან შედარებით 100 საჩუქრით გაიზარდა.





**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის მერიის - განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურის თანამშრომლებმა – ქეთევან ხაბაზიშვილმა, ირაკლი თულაშვილმა და ნინო მეზვრიშვილმა სოციალურად დაუცველ სამ მრავალშვილიან და მარტოხელა დედას დამდეგი ახალი წელი მიულოცეს, საახალწლო ნობათები და ბავშვებისთვის სათამაშოები გადასცეს.

აღსანიშნავია, რომ ამ აქციისთვის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურმა სამსახურმა საახალწლო ნობათები – ხოლო განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურმა კი ბავშვებისთვის სათამაშოები შეიძინეს.

განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურის განცხადებით მსგავსი აქციები კვლავ გაიმართება.



**ბადიაურში** მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელმა კახაბერ ჩალათაშვილმა საახალწლო საჩუქრები სოციალურად დაუცველ პირებს პირადად გადასცა.





# მედიცინა

## საყურადღებოა!

# როგორ ავიცილოთ თავიდან „ღორის გრიპი“

**ყოველდღიურად მედიასაშუალებები გადმოსცემენ ინფორმაციას ჩვენს ქვეყანაში და არა მარტო საქართველოში გავრცელებული ე.წ. „ღორის გრიპის“ შესახებ ინფორმაციას. 10 იანვრის მონაცემებით 15 შემთხვევა ლეტალური შედეგით დამთავრდა. მედიკოსები მოგვიწოდებენ სიფრთხილისაკენ. მაინც რა არის „ღორის გრიპი“ და როგორ დავიცვათ თავი მისგან? შევეცადეთ, ამ კუთხით მოკლე ინფორმაცია მოგვეწოდებინა თქვენთვის.**

**გრიპი** (ე.წ „ღორის გრიპი“) რესპირატორული (სასუნთქი გზების) დაავადებაა, რომელიც აინფიცირებს უჯრედებს, მდებარე ცხვირში, ყელსა და ფილტვებში.

„ღორის გრიპი“ პირველად 2009 წელს დაფიქსირდა. ამ დღიდან მოყოლებული სულ უფრო და უფრო მეტი ადამიანი ინფიცირდება ამ ვირუსით და შესაბამისად დაღუპულთა რიცხვიც მზარდია.

„ღორის გრიპი“ არის გადამდები დაავადება, რომელიც ვრცელდება ადამიანიდან ადამიანზე ჰაერის, ლორწოსა და ნერწყვის ნაწილაკებით. ბავშვები 5 წლამდე და 50 წელს ზემოთ მყოფი ადამიანები მიეკუთვნებიან „ღორის გრიპის“ გავრცელების მაღალ რისკ ჯგუფებს. სხვა რისკ ფაქტორებს შეიძლება მივაკუთვნოთ სუსტი იმუნური სისტემა და ორსულობა.

**1 „ღორის გრიპის“ სიმპტომები და ნიშნები**

**ღორის** გრიპის სიმპტომები ძალიან ჰგავს ჩვეულებრივი სეზონური გრიპის სიმპტომებს. ისინი მოიცავენ: სიცხეს, დიარეას, სურდოს, ციებას, სხეულის ტეხვას, ყელის ტკივილს, შემუპებას, გულისრევას და ღებინებას. სიმპტომები განვითარებას იწყებენ ვირუსის შეყრიდან ერთ-სამ დღეში და გრძელდება დაახლოებით ერთი-ორი კვირა.

ვინაიდან „ღორის გრიპის“ და სეზონური გრიპის სიმპტომები ძალიან ჰგავს ერთმანეთს, ამიტომ მიზანშეწონილია ვეწვიოთ ექიმს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში თუ ჩვენ ვიმყოფებით იმ არეალში სადაც იფეთქა ვირუსმა.

ლაბორატორიული გამოკვლევები და შემდეგ უკვე დროულად დასმული დიაგნოზი საშუალებას მოგვცემს თავიდან ავიცილოთ ის გართულებები, რაც შეიძლება „ღორის გრიპმა“ გამოიწვიოს.

ადამიანებს, რომელთაც აქვთ ქრონიკული დაავადებები: ასთმა, დიაბეტი, გულის ან თირკმლის დაავადებები უფრო ფრთხილად უნდა იყვნენ, რადგან მათ უფრო ურთულდებათ იმ მიზეზებთან გამკლავება, რომელსაც იწვევს ეს ინფექცია.

აუცილებელია სასწრაფო გადაუდებელი სამედიცინო დახმარების მიღება თუ თქვენ განიცდით ისეთ სიმპტომებს როგორიცაა: სუნთქვის გაძნელება, მუდმივი ღებინება, მოულოდნელი თავბრუსხვევა, დაბნეულობა, ტკივილი მუცლისა და გულმკერდის არეში ან თუ ფიქრობთ, რომ დაძლიეთ გრიპის სიმპტომები და ამ დროს აგიწიათ სიცხემ ან გაქვთ გაუსაძლისი ხველება.

***სტანდარტული მითები ღორის გრიპი H1N1-ის შესახებ***

**მითი №1:** თქვენ შეიძლება დაინფიცირდეთ თუ შეჭამთ ღორის ხორცს.

ეს არასწორია, რადგან თქვენ ვერ დაინფიცირდებით ვერც ღორის ხორცის ჭამისგან და ვერც მისგან დამზადებული სხვადასხვა კერძებისგან. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან დიდი მსგავსება ამ ვირუსებს შორის, ღორებში გავრცელებული გრიპი განსხვავდება H1N1-ისაგან (ანუ ადამიანებში გავრცელებული ღორის გრიპი და ღორებში გავრცელებული ღორის გრიპი არ უდრის ერთმანეთს).

„ღორის გრიპი“ H1N1 ვრცელდება ჰაერწვეთოვანი გზით, როდესაც დაინფიცირებული ადამიანი ახველებს ან აცემინებს,ის აბინძურებს ჰაერს ან ზედაპირს და როდესაც ჯანმრთელი ადამიანი ხვდება ამ სივრცეში/ეხება ზედაპირს, მის ორგანიზმშიც აღწევს ვირუსი და იწყებს განვითარებას.

მეღორეები და ღორის ვეტერინარები უფრო მიდრეკილები არიან და ადვილად იღებენ „ღორის გრიპს“.

**მითი №2**: ვაქცინაცია სრული დაცულობის გარანტიაა

ეს მართალია, რომ ვაქცინაციას შეუძლია თქვენი დაცვა H1N1 ვირუსისგან. დაავადებათა კონტროლის ცენტრის რეკომენდაციაა, რომ ყველა ადამიანმა გაიკეთოს აცრა, გარდა 6 თვეზე პატარა ბავშვებისა.

თუმცა, გახსოვდეთ, რომ აცრა თქვენ გიცავთ ერთი წლით ვირუსებისაგან. აქედან გამომდინარე, თუ თქვენ გსურთ იყოთ დაცული ამ მომაკვდინებელი ვირუსისაგან ყოველწლიურად უნდა მიმართოთ კლინიკას ვაქცინაციისთვის.

**მითი №3:** არ არსებობს არანაირი წამალი ღორის გრიპის წინააღმდეგ

ესეც არ არის მართალი, რა თქმა უნდა. არსებობს ანტივირუსული პრეპარატები, რომელთაც შეუძლიათ H1N1 ვირუსისაგან ადამიანის განკურნება. ამ პრეპარატებს შეუძლიათ როგორც გრიპის ხანგრძლივობის, ასევე სიმპტომების ინტენსივობის შემცირება. თუმცა, დროული დიაგნოსტიკა და მკურნალობა აუცილებელია, რათა შესაბამისი გავლენა იქონიონ ვირუსზე პრეპარატებმა.

„ღორის გრიპის“ H1N1 სამკურნალოდ დღეისათვის გამოიყენება ოთხი ანტივირუსული პრეპარატი, რომელიც დამტკიცებულია მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის (***WHO-World Health Organization***) მიერ. ღორის გრიპის წინააღმდეგ გამოიყენებენ შემდეგ პრეპარატებს: ოსელტამივირი ( სელტამივირ), ზანამივირი (ძანამივირ), ამანტადინი ( მანტადინე) და რიმანტადინი (ღიმანტადინე).

***მითი №4: ღორის გრიპი H1N1 ვირუსი არ არის გადამდები***

ეს არის სიცრუე. ეს დაავადება არის გადამდები და სწრაფად გავრცელებადი დაინფიცირებული ადამიანიდან სრულიად ჯანსაღ ადამიანზე. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვირუსი ვრცელდება დაბინძურებული ჰაერით ან ზედაპირით.

„ღორის გრიპის“ თავიდან ასაცილებლად უნდა მოერიდოთ ვირუსით დაავადებულ ადამიანებთან კონტაქტს, რეგულარულად უნდა დაიბანოთ ხელები საპნით, გარცხოთ ტანსაცმელი თბილი წყლით და გაწმინდოთ თქვენი სამუშაო ოთახი (ოფისი, სახლი) სხვადასხვა სადეზინფექციო საშუალებებით.

***რჩევები როგორ შევაჩეროთ „ღორის გრიპის“ გავრცელება***

„ღორის გრიპის“ ვირუსით სიკვდილიანობის ზრდის გამო მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციამ ეს ინფექცია გამოაცხადა გლობალურ პანდემიად. აქედან გამომდინარე, ზედმიწევნით უნდა შევასრულოთ ის რჩევები რაც ხელს შეუშლის ღორის გრიპს გავრცელებაში.

- *დაიბანეთ ხელები საპნით დღეში რამოდენიმეჯერ*
- *თან იქონიეთ სპირტის ბაზაზე დამზადებული სველი ხელსახოცი მოგზაურობისას*
- *ეცადეთ იშვიათად შეეხოთ ხელით თქვენს თვალებს, ცხვირსა და პირს*
- *ერიდეთ ყველა იმ ადამიანთან კონტაქტს რომელსაც აქვს გრიპი*
- *გამოიძინეთ კარგად, რათა ორგანიზმმა სრულყოფილად დაისვენოს*
- *მიიღეთ რაც შეიძლება ბევრი სითხე (წყალი, ნატურალური წვენი და ფრეში)*
- *მიიფარეთ ცხვირსახოცი (ან მოხრილი ხელი) როდესაც ახველებთ ან აცემინებთ*
- *შინიდან გასვლის დროს გამოიყენეთ ნიღაბი, გრიპის სეზონზე*
- *როდესაც თქვენ ერთხელ გამოიყენებთ ხელსახოცს/ცხვირსახოცს გადააგდეთ ის და აღარ გამოიყენოთ ხელმეორედ*
- *თუ თავს ცუდად გრძნობთ და გაქვთ ღორის გრიპის ნიშნები დარჩით სახლში/ეწვიეთ ექიმს და ნუ წახვალთ სამსახურში ან სხვა საზოგადოების თავშეყრის ადგილებში რათა არ გაავრცელოთ ვირუსი*
- *თუ თქვენ გაქვთ ცხელება, დაიდეთ გრილი საფენები შუბლზე, მხრებსა და ფეხებზე, რათა შეამციროთ დისკომფორტი რომელიც გამოწვეულია ცხელებისგან*
- *გამოიყენეთ ჰაერის დამატენიანებელი, რათა სუნთქვა თქვენს ოთახში გახდეს ადვილი და სასიამოვნო*
- *პირში/ყელში გამოივლეთ თბილი მარილიანი წყალი რათა შეგიმსუბუქდეთ ყელის ტკივილი*
- *გრიპის სეზონზე უფრო მეტი რაოდენობით მიიღეთ ის პროდუქტები, რომელიც აძლიერებს თქვენს იმუნურ სისტემას: ნიორი, ჯინჯერი, ალოე ვერა და ა.შ*
- *დალიეთ რამოდენიმე ჭიქა მწვანე ჩაი ყოველდღიურად*
- *დალიეთ 1-2 ჭიქა თბილი რძე ყოველდღიურად, რათა შეინარჩუნოთ ძლიერი იმუნური სისტემა*
- *იყავით აქტიურები და ივარჯიშეთ ყოველდღიურად რათა იყოთ ჯანმრთელები და ძლიერები.*

## ხალხური მედიცინა

# როგორ ვუმკურნალოთ გრიპს სახლის პირობებში?

**ვირუსული დაავადება გრიპი**, რომელიც თავშეყრის ადგილებში, განსაკუთრებით წვეთოვანი გზით გადაიცემა, ნებისმიერი ქვეყნის უამრავ მოქალაქეს აწუხებს. არსებობს გრიპისგან თავდაცვისა და მისგან განკურნების ხალხური მეთოდები. „იმისათვის, რომ წინასწარ დავიცვათ თავი გრიპოზული სიმპტომებისგან და გრიპისგან, აუცილებელია შევასრულოთ შემდეგი პირობები:

მოერიდეთ თავშეყრის ადგილს, ან ხალხმრავალ ადგილებში იარეთ პირბადით.

ხალხური მედიცინის მკურნალობაში ფართოდაა ცნობილი გრიპის საწინააღმდეგო საშუალებები.

გრიპის პროფილაქტიკის მიზნით სასურველია ცხვირის ირგვლივ გაჭრილი ნივრის წასმა. ასევე, კარგია, თუ დილით უზმოზე პატარა ნივრის კბილს გადავყლაპავთ, შეგვიძლია შევჭამოთ კიდეც. სასარგებლოა, თუ მოვახერხებთ ყოველ დილით ცხვირის შიდა ნაწილის გამორეცხვას ნივრიანი წყლით, ან კალენდულას – გულყვითელას ნაყენით. ის დაგვიცავს გრიპისა და სხვა მრავალი ვირუსული დაავადებისგან.

გრიპოზული მდგომარეობისას უნდა ვიკვებოთ დღეში რამდენჯერმე რაც შეიძლება წვნიანი საკვებით, მაგალითად, ბოსტნეულის სუპებით, ვეცადოთ ყოველი კვების შემდეგ მივიღოთ ჩაი.

ლიმონი და მალინა გახლავთ მცენარეები, რომლისგან მომზადებული ჩაიც ძალზე სასარგებლოა. მიირთვით ლიმონიანი ჩაი დღეში რამდენჯერმე, ყლუპ–ყლუპად. ასევე, მოამზადეთ მალინის ჩაი, გამოიყენება მალინის ნაყოფი და ფოთოლიც. მალინა,ამავე დროს, არის როგორც ოფლმდენი, მალინა ასევე შარდმდენი საშუალება. მალინის ჩაი 1 წლის ასაკის შემდეგ შეიძლება ყველამ მიიღოს. ბავშვებისთვის შეიძლება იყოს მცირე რაოდენობით შემტკბარი, დიდებისთვის კი უმჯობესია, თუ დაუმტკბარი იქნება, ან დაატკბობთ თაფლით, რადგან შედეგი უფრო მეტია. ასევე, მიიღეთ ცაცხვის ყვავილის ჩაი დღეში 2-3 ჯერ 200 გრამის მოცულობით, ნაყენის სახით. 200 გრ. წყალზე საჭიროა 1 სუფრის კოვზი მასა – ცაცხვი ან მალინა. სამივე სახის ჩაი უნდა იყოს ნელთბილ მდგომარეობაში და შეგვიძლია მონაცვლეობით მივირთვათ, მაგრამ მოვერიდოთ გვიან დალევას, რადგან ღამის პერიოდში დისკომფორტი არ შეგვიქმნას. მალინის და ცაცხვის ჩაი, ამავდროულად, ხსნის თავბრუსხვევას, რომელიც გრიპს ხშირად თან სდევს.

გრიპისა და გაციების შემთხვევაში, გარდა ჩამოთვლილი სახის ჩაისა, უნდა მივიღოთ ძალიან ბევრი წვენი – კომპოტისა თუ ხილის სახით.

გრიპოზულ მდგომარეობაში ***თავის ტკივილისას*** ძალიან კარგია ლიმონის ქერქის შიდა ნაწილი. მისი საშუალებით საფეთქლებსა და წარბებს შუა ადგილის დაზელვა მოხსნის თავის ტკივილს.

***ყელის ტკივილის*** დროს სასარგებლოა ლიმონის ცოცხალი სახით მიღება. ის უნდა გაწუწნოთ დღეში რამდენჯერმე და დარჩენილი მასა კი უკან გადმოვიღოთ. ასევე, შეგიძლიათ გვირილისა და კალენდულას ერთობლივი ნაყენი გამოივლოთ ყელში ყოველი ჭამის შემდეგ. გამოვლებიდან ნახევარი საათის განმავლობაში არ უნდა მიიღოთ არც სითხე და არც საკვები. ყელის ტკივილისას ეფექტური საშუალებაა გვირილის ჩაის დალევაც. ის, ამავე დროს, ხსნის მუცლის შებერვას, ფაღარათისგან გამოწვეულ დისკომფორტს და ამშვიდებს კიდეც.

**მაღალ ტემპერატურაზე** ორსულობის შემთხვევაში ან მოხუცებისთვის, რომლებსაც ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები აქვთ, შეუძლიათ მონაცვლეობით ცივ და ცხელ წყალში (ტემპერატურა ფეხს რომ ესიამოვნოს) ჩადგან ფეხები და ეს პროცედურა რამდენჯერმე გაიმეორონ. ბავშვებს კარგია, ძმრით (უმჯობესია ვაშლის ძმარი) დავუზილოთ ის ადგილები, სადაც გადის ვენური სისტემა, მაგალითად: სახსრების, იღლიის მიდამოებს, კისრის არეს, ფეხისა და ხელის გულებს ეს კარგი პრაქტიკაა. ძმრის მსგავსად ორგანიზმიდან ტემპერატურის გამოსაყვანად გამოიყენება კომბოსტოს ფოთლები და ისიც იგივე მეთოდით.

***ხველისას*** კომბოსტოს ფოთლებს უნდა წავუსვათ ნატურალური თაფლი და მივიკრათ გულმკერდზე, ყელის ჩაღრმავებიდან დაახლოებით 1 მტკაველის მანძილზე. კომბოსტო როგორც კი დაჭკნება, თაფლიც შეიწოვება ორგანიზმში. კარგია თუ ამ პროცედურას დაწოლამდე ჩავიტარებთ, მაგრამ თუ ძლიერი ხველაა, შეგვიძლია დღეში ორჯერაც გავიმეოროთ. ძველი ხალხური მეთოდით ხველისას საუკეთესო საშუალებაა კომშის გულის ნახარში და მისი კომპოტის მიღება.



გრიპისას ***თვალებიდან ცრემლდენისას*** შესაძლებელია თვალის კალენდულას ან ფუტკრის რძე – გვირილის ნაყენით გამორეცხვა.

ვირუსის გასვლის შემდეგ იმუნიტეტის გაუმჯობესების მიზნით უნდა მივიღოთ ფუტკრის რძე დღეში ერთხელ ენაზე დაწვეთებით – 1-2 წვეთი, ასაკის მიხედვით. ხოლო ფუტკრის მტვერს ვიღებთ 1 ჩაის კოვზს ერთ ჭიქა წყალზე. ასევე, კარგია, თუ გვექნება ვაზის ცრემლი, რომელიც გაზაფხულის პერიოდში, ვაზის გასხვლის დროს შეგვიძლია შევაგროვოთ. ის დღეში ორჯერ ენაზე დაწვეთებით უნდა მიიღოთ და აღადგენს ნივთიერებათა ცვლას ორგანიზმში, ამავდროულად აძლიერებს იმუნიტეტს. სითხე ინახება მაცივარში.

ყველანაირად უნდა ვეცადოთ, გრიპისას მდგომარეობა არ გაგვირთულდეს, მაგრამ თუ ვირუსს მცენარეული საშუალებებით ველარ ვერევით, პარალელურად ქიმიური პრეპარატებიც უნდა ჩავრთოთ.

№1(183) 2019 წელი, 1-15 იანვარი

# მართლმადიდებლობა

## გილოცავთ შობის ბრწყინვალე დღესასწაულს!

## საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის პატრიარქის ილია მეორის საშემოდგომო ეპისტოლე

(იბეჭდება შემოკლებით)

**"ყოვლადსამღვდელონო** მღვდელმთავარნო, ღირსნო მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონოზონნო, ხელისუფალნო, საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის ყოველნო წევრნო, მკვიდრნო ივერიისა და ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო:

საუკუნეებიდან საუკუნეებს გადაეცემოდა მოლოდინი იმისა, რომ "მუცლად იღებს ქალწული და შობს ძეს და უწოდებს სახელად ემანუელს", რაც ნიშნავს "ჩვენთან არს ღმერთი" (ესაია 7,14) და რომ იქნება "სახელი მისი დიდისა განზრახვისა ანგელოზი, ღმერთი ძლიერი, ხელმწიფე, მთავარი მშვიდობისა, მამა მერმეთა საუკუნეთა" (ესაია 9, 5-6).

2019 წლის წინ აღსრულდა ქვეყნიერების მხსნელის შესახებ წმინდა ესაიას ეს წინასწარმეტყველება.

ჭეშმარიტად ბედნიერნი ვართ, რომ ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა, სულიერად თანაზიარნი გავხდეთ ენით გამოუთქმელი ამ სასწაულისა, თუმცა ღვთის დიდებას სრულად ვერასდროს შეიცნობს ადამიანური გონება და ვერც იესო ქრისტეს ღვაწლს გააცნობიერებს სრულად ოდესმე. ვიცით, რომ იგი "გარდამოხდა ზეცით და ხორცნი შეისხა სულისაგან წმინდისა", რომ იცხოვრა კაცთა შორის, აღასრულა მრავალი სასწაული, მოგვცა ახალი მცნება და ჯვარს ეცვა, რათა ჩვენთვის ცხონება მოენიჭებინა... ერთი შეხედვით, მარტივად ითქმის ეს, მაგრამ თუ დავუკვირდებით მომხდარს, გამაოგნებელი რეალობის წინაშე აღმოვჩნდებით: უფალი, შემოქმედი, მეორე ჰიპოსტასი წმინდა სამებისა, რომელიც, მამის და სულიწმინდის მსგავსად, მხოლოდ საღვთო ბუნებისა იყო, ჩვენს გადასარჩენად იღებს ადამიანურ ბუნებასაც.

ყოვლისშემქმნელმა, ყოვლისშემძლემ, მარადიულმა, დაუსაბამომ, ცხოველსმყოფელმა... კაცობრივი სხეული და თვისებები (გარდა ცოდვისა) მიიღო, რათა გამხდარიყო თანაარსი ყველა ჩვენგანისა და ჩვენთვის მოენიჭებინა ცოდვათაგან განთავისუფლება და განღმრთობა. ამიტომაც იგი, განკაცების შემდგომ თავის თავში უკვე მარადიულად ატარებს ორ სრულიად განსხვავებულ, შეურევნელ ბუნებას: შეუქმნელობასა და შექმნილობას, დაუსაბამობასა და დასაბამიერობას, გარეშეუწერელობასა და გარეშეწერილობას; მკვდრეთით აღდგომამდე კი უკვდავებასთან ერთად ჰქონდა მოკვდავობაც, უვნებობასთან ერთად — ვნებულობაც, უხრწნადობასათან ერთად - ხრწნადობაც.

მან, ჭეშმარიტმა სიცოცხლემ, მოკვდავობა იწილხვედრა, რათა თვისი უკვდავებით სიკვდილი მოეკვდინებინა; ბუნებით უხრწნელმა ხრწნადი სხეული შეიმოსა, რათა ჩვენი ხრწნილება განექარვებინა, ჩვენი უგუნურება საღვთო ცოდნით განებრწყინვებინა და ცოდვისადმი მონობა ცოდვაზე მეფობით შეეცვალა. ამის ძალმოსილება მხოლოდ მას ჰქონდა!

მხოლოდ მას შეეძლო თავის საღვთო ჰიპოსტასში დაეტია ერთობა ადამიანური თვისებებისაც და უდიდესი მსხვერპლის ფასად შეემუსრა ათასწლეულების მანძილზე გამრავლებული და გამოვლენილი მთელი კაცობრიობის ცოდვის სისავსე. ეს სასწაული ორ ეტაპად ხორციელდება: წმინდა იოანე დამასკელის სწავლებით, პირველ ეტაპზე განკაცებული ღმერთის კაცობრივ ბუნებაში მოხდა ამ ბუნებისთვის დამახასიათებელი უმეცრების, უძლურების, არაცხოველსმყოფელობისა და მონურობის საღვთო ღირსეულობებით (საღვთო ცოდნით, შემძლეობით, ცხოველსმყოფელობით, მეუფებით) გამდიდრება, არსობრივი თვისებების შეუცვლელად, და ჩვენ, ქრისტესთან თანაზიარებით, მიწიერ ყოფაში მოგვეცა შესაძლებლობა ამ მადლით განმსჭვალვისა.

სულიერი ცხოვრებით, მაგალითად, მოიპოვება სიბრძნით მეტყველება, წინასწარმეტყველების ნიჭი, კურნების ძალა, სხვა სასწაულთქმედებათა უნარი... რომელიც პიროვნებაში არსებით ცვლილებებს არ იწვევს. ამიტომაც ღვთის ამ საბოძვარს ადვილად დაკარგავს ყველა, ვინც კვლავ ცოდვაში ჩაეფლობა. მეორე ეტაპზე, ანუ მაცხოვრის ჯვარცმის, დაფვლისა და აღდგომის შემდეგ, იესო ქრისტემ თავისი განღრთობილი კაცობრივი ბუნება თვისობრივად გარდაქმნა, ადამისეულ თავდაპირველ უცოდველ მდგომარეობას დაუბრუნა და, უფრო მეტიც,- თითოეულ ჩვენგანს ღვთის საუფლოს მარადიულად დამკვიდრების შესაძლებლობა მიანიჭა. ასე რომ, ცათა შინა დაუსრულებელი სიხარული და ნეტარება ელოდება ყველას, ვინც კი ქრისტეს გზით სვლას მოინდომებს და შესაბამის ღვაწლს აღასრულებს.

ქმნილებისადმი შემოქმედის ენითუთქმელი სიყვარულის ამ საოცარმა გამოვლინებამ მთელი ხილული და უხილავი სამყარო შეძრა: "ანგელოზნი ღაღადებენ, მთავარანგელოზნი გალობენ, აქებენ ქერუბიმნი და ადიდებენ სერაფიმნი, — ყოველი დაბადებული დღესასწაულობს დღეს, რამეთუ ღმერთსა ხედვენ ქვეყანასა ზედა და კაცსა,- ცათა შინა; ქვესკნელსა, — ზესკნელად განგებულებით და ზესკნელსა, — ქვესკნელად კაცთმოყვარეობით" (ათანასე ალექსანდრიელი). — პირველი ვინ მიეახლება ბეთლემელ ყრმას? პირველი ვინ იგრძნობს და ვინ შეეგებება მომხდარ სასწაულს?— ძველი აღთქმის მართალი იოსები, უბრალო მწყემსნი და წარმართული სამყაროს ბრძენნი, — შორეული სპარსეთიდან (ასურეთიდან) უჩვეულო ვარსკვლავის მსვლელობას გამოყოლილი მოგვნი, რომელთაც საოცარი სიმბოლური შესაწირი, — ოქრო, გუნდრუკი და მური, — მიართვეს მას. ოქრო — ვითარცა მეფეს, გუნდრუკი — ვითარცა ღმერთს, და მური — ვითარცა ღმერთკაცს, რომელიც კაცობრივი ბუნებით უნდა მომკვდარიყო და შეემურვათ.

ჩვენს დროშიც მისი მოქმედებანი სხვადასხვა სახით ვლინდება: აბორტით მოწყვეტილ ჩვილთა სისხლი ცას შეჰღაღადებს, ნარკომანია, აზარტული თამაშები თუ უზნეო ცხოვრების წესი ათასობით ახალგაზრდას იწირავს და ეს დანაშაულებანი ჩვენგან პასუხს ითხოვს.

ბუნებრივად იბადება კითხვა: თუ სიმართლე და სიკეთე განქარდება, ურთიერთპატივისცემა და პატიოსნება დაიკარგება, რაღა იქნება ჩვენი ყოფა?! თუ მეგობრობა, სიყვარული და თანადგომა ადამიანთა ბუნებიდან წარიხოცება, ვინ შეძლებს ამგვარ სივრცეში ცხოვრებას?! ასეთი საზოგადოება ხომ თავისთავად გახდება სიცოცხლის უუნარო და გადაგვარებისათვის განწირული, რადგან მას აღარ ექნება ძალა ბოროტების შეჩერებისა და ცოდვისთვის წინააღმდეგობის გაწევისა? ამასთან, გაქრება ადამიანისთვის უმნიშვნელოვანესი ზღვარიც, — ზღვარი სიკეთესა და ბოროტებას შორის.

სამწუხაროდ, ეს მდგომარეობა თანდათან ჩვენთანაც ფეხს იკიდებს და ხალხს შიში და უიმედობა იპყრობს, მაგრამ არ უნდა გავტყდეთ, არ უნდა დაგვაბრკოლოს არც გამრავლებულმა ღალატმა და გაუტანლობამ, არც შურმა და მზაკვრობამ. დროა ასეთი! არსებული რეალობა უნდა მივიღოთ, როგორც ჩვენი რწმენის დიდი გამოცდა და შევძლოთ, განვეშოროთ ბოროტებას, ჩვენდამი ჩადენილ ავ საქმეთა გამო, — სამაგიეროს გადახდას; ვეცადოთ, არ დავკარგოთ მომავლის იმედი, არ დავკარგოთ მოყვასის სიყვარული და მისდამი თანადგომის სურვილი, არ დავკარგოთ ღირსება და ძალისამებრ ჩვენისა, სიკეთით ვუპასუხოთ გამოწვევებს.

შევნიშნავთ იმასაც, რომ არის დიდი მცდელობა სიტყვის თავისუფლების დამახინჯებული აღქმის გაბატონებისაც. თავისთავად სიტყვის თავისუფლება საზოგადოებისთვის უმნიშვნელოვანესი უფლებათაგანია, რომელიც ნებისმიერ მოქალაქეს საშუალებას აძლევს, საკუთარი შეხედულებისამებრ, საჯაროდ გამოთქვას აზრი და ამისთვის გამოიყენოს მასმედიაც და სოციალური ქსელიც, რაც პიროვნული თავისუფლების განცდას ბადებს და ნანახისა თუ ნააზრევის სხვისთვის გაზიარების შესაძლებლობას ქმნის, მაგრამ, სამწუხაროდ, ხშირად ხდება რეალობის შეცვლა და სიტყვის თავისუფლებით ბოროტად სარგებლობა. დღეს ადამიანები აღარ ერიდებიან სხვისი დამცირების მიზნით მათ უსაფუძვლოდ შეურაცხყოფას; სიცრუე და ბილწსიტყვაობა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.

გახშირდა ტყუილის ყველაზე მძიმე ფორმაც, — გაცნობიერებული, შეგნებული სიცრუე, — ცილისწამება, რომელიც ზოგჯერ სიმართლის სახელით ვირტუოზულად ისე არის შებურვილი, რომ მსმენელს, თავდაპირველად მაინც, შეცდომაში შეიყვანს.ამის მოქმედთ, ალბათ, ჰგონიათ, რომ რაკი სხვასზე ფიზიკურად არ ძალადობენ და სხეულის დაზიანებას არ აყენებენ, ეს დანაშაული უმნიშვნელოა, რაც ძალიან დიდი შეცდომაა. სიტყვას უჩვეულო ძალა აქვს, — როგორც დადებითი, ისე უარყოფითი, რადგან მას ქმნადობის უნარი გააჩნია. არის სიტყვა სიცოცხლის მომნიჭებელი და სიტყვა — სიკვდილის ტოლფასი. ამასთან, არცერთი ჩვენი ნათქვამი არ ქრება და იგი ჩვენი მამხილებელი იქნება ღვთის წინაშე. მაცხოვარი ბრძანებს: "ვინც უმიზეზოდ ურისხდება თავის ძმას, სასამართლოში უნდა მიეცეს; ხოლო ვინც ეტყვის თავის ძმას, რაკა, სინედრიონს უნდა წარუდგეს; და ვინც ეტყვის ძმას: შლეგო, ცეცხლის გეენაში უნდა ჩავარდეს" (მათე 5,22).

განსაკუთრებული ზრუნვა გვმართებს მომავალ თაობაზე, რათა შემდეგ მათ საყვედური არ გვითხრან, რომ არ დავეხმარეთ, გაცნობიერებული ნაბიჯები გადაედგათ თავისი ცხოვრების გზაზე. მე ურთიერთობა მაქვს პედაგოგებთან და ნაწილობრივ ვიცი ის პრობლემები, რის წინაშეც დღეს საჯარო სკოლა დგას.

სასიხარულოა, რომ ხელისუფლებამ განაცხადა, რომ მასწავლებელთა ხელფასს გაზრდის და იზრუნებს მათი ავტორიტეტის ამაღლებისთვის; ასევე, სასიხარულოა დაწყებით კლასებში "დედა ენის" დაბრუნება, მაგრამ გასაკეთებელი კვლავ ბევრია; ჩვენ მხოლოდ აუცილებელ თემებზე შევჩერდებით და ვიმედოვნებთ, ახალი ხელმძღვანელობა გაითვალისწინებს მას.

პირველ რიგში, სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს ეროვნული სულისკვეთებით მოსწავლეთა აღზრდას; სასწავლო პროგრამებიდან, სამწუხაროდ, თითქმის ამოღებულია ჩვენი კლასიკოსი მწერლების ნაწარმოებები, ყურადღება არ მახვილდება ჩვენი ერის გმირულ წარსულზე, არ აღინიშნება გამოჩენილ პიროვნებათა და მოვლენათა ღირსსახსოვარი თარიღები; ხშირად არ ეწყობა ექსკურსიები ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხის გასაცნობად... უნდა გატარდეს სხვა ღონისძიებებიც, რომ ყმაწვილებში სამშობლოს სიყვარული გაღვივდეს და ისინი ღირსეულ მოქალაქეებად ჩამოყალიბდნენ.

ლუკმა-პურის შოვნისთვის სახლიდან გასულ მშობლებს ძალიან ცოტა დრო რჩებათ შვილებისათვის; ამიტომაც სახელმწიფომ და, აქედან გამომდინარე, სკოლამ უნდა იტვირთოს როგორც სწავლების, ისე აღზრდის ფუნქცია. სკოლაში საათები უნდა დაეთმოს პირად ჰიგიენას, ხელსაქმეს, სახელობო მიმართულებებს, ბუნებასთან ურთიერთობას, სოფლის მეურნეობის შესახებ ზოგადი წარმოდგენის შექმნას, უნდა ფუნქციონირებდეს მუსიკალური, სამხატვრო, ლიტერატურული წრეები... უმნიშვნელოვანესია სპორტული დარბაზებითა და მოედნებით სასწავლებლების უზრუნველყოფა და სპორტულ წრეებში ბავშვების გაერთიანება, რომ მათ ენერგია აქ დახარჯონ და ჯანმრთელ და ძლიერ პიროვნებებად ჩამოყალიბდნენ.

რაც შეეხება ოჯახს, ანუ მცირე ეკლესიას: ზოგადად, ყველამ ვიცით, რომ იგი ურთიერთპატივისცემასა და სიყვარულს უნდა ეფუძნებოდეს. ყველამ ვიცით ისიც, რომ ოჯახში უსიამოვნებებიც ხდება, მაგრამ როგორც ცოლი, ისე ქმარი უნდა ეცადოს, რთული სიტუაცია მალევე განმუხტოს და, როგორც წმინდა მამები გვასწავლიან, დღე ისე არ უნდა დასრულდეს, რომ განაწყენებულებმა ერთმანეთს შენდობა არ სთხოვონ.

ცოლ-ქმრისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს მოძღვრის ყოლას. ამასთან, კარგი იქნება თუ ისინი აღსარებას ერთ სასულიერო პირს ჩააბარებენ (რა თქმა უნდა, შეიძლება სხვა და სხვა მოძღვარიც ჰყავდეთ), რომ მისი საშუალებით თითოეულმა შედარებით უმტკივნეულოდ გააცნობიეროს თავისი შეცდომა და მდგომარეობა გამოასწოროს. დაეყრდენით ღმერთს, ისწავლეთ მასთან საუბარი, გადაუშალეთ გული და იგი გიჩვენებთ საოცარ მაგალითს მეგობრობისა და შეწევნისა.

ცალკეული ადამიანი და მთელი მსოფლიოც დაუცველობის განცდამ სწორედ იმიტომ მოიცვა, რომ პიროვნება თავისი თავის იმედად დარჩა და შემოქმედი დაივიწყა. ბედნიერია ის, ვის გულშიც ღმერთმა თვისი ძის სული გამოავლინა (გალატ.4,6) და აღავსო იგი ჭეშმარიტი რწმენით, სასოებითა და სიყვარულით. ასეთი პიროვნებისთვის აღარ არსებობს შიში ხვალინდელი დღისა, აღარ არსებობს შიში განსაცდელისა და თვით სიკვდილისაც, რადგან იცის და სწამს, რომ "ღვთის მოყვარულთ ყოველივე სასიკეთოდ წარემართებათ... ხოლო "თუ ღმერთი ჩვენსკენ იქნება, ვინ გამოვა ჩვენს წინააღმდეგ" (რომ. 8, 28,31)!

ქართველნო, აფხაზნო, ოსნო, ბერძენნო, უკრაინელნო, რუსნო, სომეხნო, ებრაელნო, აზერბაიჯანელნო, უდინნო, იეზიდნო, ქურთნო, ინგუშნო, ჩერქეზნო, ჩეჩენნო, ლეკნო, ყოველნო მკვიდრნო საქართველოისა და ჩვენს საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენნო, ყოველნო ერნო, — ჩვენთვის შვა ყრმა ახალი, პირველსაუკუნეთა ღმერთი, ჩვენს ყველა სენთა და ტკივილთა დიდი მკურნალი. ბეთლემის ბაგას ვარსკვლავი დასდგომია; ვიჩქაროთ, რომ თაყვანი ვსცეთ ჩვილ იესოს, — აბრაამის აღთქმის განცხადებას, მოსეს რჯულის დასრულებას, ახალ პასექსა და ახალ ადამს, პურს ცხოვრებისას და ნათელს სოფლისას, ძეს ღვთისას და ძეს კაცისას, გზას, ჭეშმარიტებასა და სიცოხლეს.

იესო ქრისტეს მოწყალებით, ღვთისმშობლის მეოხებით, ღმერთმა ბედნიერი შობა-ახალი წელი მომადლოს თითოეულ თქვენგანს, სრულიად საქართველოს და მთელ მსოფლიოს. ყველას გისურვებთ უფლის მადლით აღვსებას!

***ღმერთს ებარებოდეთ, იხარეთ ორთავ სოფელსა შინა!***

*სიყვარულით თქვენთვის მლოცველი ილია მეორე,*

*სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი"*

## შობა საქართველოს კუთხეებში

**7 იანვარს** საქართველოში მცხოვრები მართლმადიდებლები შობის დღესასწაულს აღნიშნავენ, მოქმედ ეკლესიებში ტარდება ღვთისმსახურება, რომლის დასრულების შემდეგ ქრისტეს მახარობლები გამოდიან ქუჩებში და ქვეყნიერებას ამცნობენ იესო ქრისტეს განკაცების საიდუმლოს განხორციელებას. ამცნობენ ალილოთი - ღვთის სადიდებელი გალობით.

თუმცა როგორც ეთნოგრაფიული წყაროებიდან ირკვევა, შობადღესა და შობის წინაღამეს ბევრად უფრო საინტერესო ამბები ხდებოდა წინა საუკუნეებში. „ქართულ ხალხურ დღეობათა კალენდრის" მიხედვით, რომლის ავტორები ნ. აბაკელია, ქ. ალავერდაშვილი და ნ. ღამბაშიძე არიან, შობის წინასაღამოს ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტები იყო: კერაში ცეცხლის დანთება, კორკოტის მოხარშვა, ლოცვა და რიტუალური ტრაპეზები, ღორის დაკვლა, შობის შემოლოცვა მეალილოეების მიერ. ყველაფერ ამასთან ერთად, იცოდნენ მოხარშული ჭანტილის ქაფის გატანა ეზოში და ხეებზე წასმა, რაც ხის სიმბოლურ განაყოფიერებას ნიშნავდა - მომავალ წელს რომ უზრუნველეყოთ მოსავლით. პურის მარცვლისგან იხარშებოდა ფაფა, რომელსაც სვანეთში, რაჭასა და ლეჩხუმში ეწოდებოდა ჭანტილი; იმერეთში, გურიასა და სამეგრელოში - კორკოტი; ქართლსა და კახეთში კი - ცხრაწვენა. ჭანტილი-კორკოტი ქალებს მზის ამოსვლამდე უნდა დაერჩიათ და ჩაედგათ მოსახარშად. იკმაზებოდა ხახვით, მარილით და ნიგვზით, ან თაფლითა და ნიგვზით.

რაჭაში ვახშმისათვის აცხობდნენ სამ განატეხს - საწესო პურს, რომელიც ანთებული სანთლით, ჭიქა ღვინითა და ჭანტილათი ჩაწყობილი იყო გობში. მლოცველი ამ გობს ცეცხლთან ახლოს წაღმა სამჯერ შეატრიალებდა და დაილოცებოდა: „ღმერთო! რამდენი კაკალი ეს არის, იმდენი სიკეთე მოგვეცი, იმდენი კოდი მოგვეცი, იმდენი თეთრი და ქონება და იმდენი კოდი ხვარბალი მოგვეცი". შობადღეს მამლის ყივილთან ერთად უნდა ამდგარიყო უფროსი ქალი და დაეჭირა ერთი საანგელოზო ყვინჩილა და მეორე საოჯახო ყვინჩილა. დაკვლის წინ საანგელოზო ყვინჩილას ოჯახის წევრებს შემოავლებდა თავზე, ხოლო საოჯახო ყვინჩილას შემოავლებდა ცეცხლსა და მის მახლობლად მიდგმულ სასაფუარეს.

სამეგრელოში შობის წინასაღამოს ღვეზელი და მუცლის სალოცავი კვარი იცოდნენ, თითო კვარში თითო კვერცხს დებდნენ. რამდენი წევრიც იყო ოჯახში, იმდენს გამოაცხობდნენ. შობადღეს კი სისხლი უნდა დაესხათ, ანუ დაეკლათ ღორი. შობის დილას იხარშებოდა თავი. ზოგან ღორი იკვლებოდა შობის წინასაღამოს. ამ დღეს დილით ადრე უნდა ამდგარიყვნენ და ეჭამათ სპეციალური დილის საუზმე, რომელსაც დილის ხაციცი - „ოჭუმარეშ ხაციცი" - ეწოდებოდა.

გურიაში მრავალწლობას ანუ შობის წინადღეს ცხვებოდა საწესო პური - ღვეძელი, რომელიც ნახევარწრის ფორმის იყო და კეთდებოდა ხორბლის ფქვილისგან, ურთავდნენ ყველს და გამომშრალ, შებოლილ კვერცხებს, რომლებიც მთელ-მთელად ან შუაში გაჭრილი იდებოდა. ღვეძელი ცხვებოდა იმდენი, რამდენი წევრიც იყო ოჯახში. ღვეძელი მიცვალებულებისთვისაც ცხვებოდა.

შობის წინადღეს ქართლში ქრისტეს კორკოტს ეძახდნენ. კორკოტის ქერქის, ანუ შედედებული ზედაპირის, ნაწილს გუთნისდედა სახლის ბოძებს ან კედელს წაუსვამდა, ცოტას ხარებს აჭმევდა, ცოტასაც თვითონ შეჭამდა. შემდეგ ხახვით ან ნიგვზით შეანელებდნენ. გუთნისდედა ოჯახის ყველა წევრს თავისი ხელით შეაჭმევდა კორკოტს. ახალი მიცვალებულის პატრონები კორკოტს არ აკეთებდნენ.

თუშეთში ოჯახის დიასახლისი გამოაცხობდა პურებს, ადამიანთა და შინაურ ცხოველთა გამოსახულებით. მათ „სალოცავებს" ეძახდნენ და ე. წ. „ქრისტეს სუფრაზე" დებდნენ. თითოეული ვაჟისთვის, ვინც იარაღს ატარებდა, ან მოზარდისთვის ცხვებოდა პატარა გახვრეტილი კვერი. მათ კერასთან, სამამაცო ადგილის თავზე დამაგრებულ პატარა ჩხირებზე წამოაცმევდნენ. ამ კვერების ჩამოღება არ შეიძლებოდა. ისინი ან თავად უნდა ჩამოვადნილიყვნენ, ან თაგვს და კატას უნდა შეეჭამა.

სვანეთში საღამოს ყოველ ოჯახში ლობიან პურებს დააცხობდნენ და მუჯორს (კანაფის თესლისგან) დაამზადებდნენ. ვახშმობის დროს ორ-ორ სუფრას გაშლიდნენ - ერთს, ლამარიას ლიფანეს, კერის პირას მოთავსებულ სვანურ მერხზე, მეორეს, მიცვალებულთა ლიფანეს, ასევე კერიასთან გაშლიდნენ. ლოცვის შემდეგ მანდილოსნები ლამარიასთვის შეწირულ სანოვაგეს შეექცეოდნენ, ხოლო კაცები და ბავშვები სულების ლიფანეს ერთი ადგილიდან მეორეზე გადადგამდნენ და ივახშმებდნენ. ვახშმის გათავების შემდეგ დიასახლისი კოვზსა და ჩოგანს კიდობანში ჩააწყობდა, სადაც ისინი მომავალ შობამდე ინახებოდა. ამ დღეს ლოცულობდნენ და ახსენებდნენ ლამარიას და ქრისდეშს (ქრისტეს).

შობადილით კახეთსა და მთლიანად საქართველოს ბარში იკვლება ღორი, რომელსაც ნოემბრიდან ასუქებენ. ქართლში მას საშობაო ღორს ეძახდნენ, კახეთში - ქოსმენს. სვანეთში - ლექრისდეშს, სამეგრელოში - საქირსე ღორს. კახეთში კლავდნენ, ასევე, ცხვარს, მამალს. შილდელები ნეკრისის სალოცავში მიდიოდნენ და ღორებს კლავდნენ. ეს წესი დღემდეა შემორჩენილი. სამსხვერპლო მამალ ღორს ლომტახს ეძახდნენ. კახეთში შობის ლხინი სამ დღესაც კი გრძელდებოდა.

ღორის დაკვლის შემდეგ მოდიოდნენ მეალილოეები, მგალობლები, ე. წ. ქრისტეს მახარობლები, რომლებიც კარდაკარ დაივლიდნენ ოჯახებს და ულოცავდნენ შობას. მეალილოეები ზოგჯერ გადაცმულები და დათხუპნულები დადიოდნენ, რომ ისინი ვერ ეცნოთ. მთელ საქართველოში ოჯახის უფროსი ქალი ან კაცი მეალილოეებს გაუტანდა შეძლებისდაგვარად ფულს, კვერცხს, ღვინოს, მათთვის გამომცხვარ ღვეზელს და სხვას. ამბობდნენ, შობაზე კაცი რომ მოვა და გიმღერებს, ეს იგივეა, რომ დიდი ძღვენი მიუტანო ოჯახსო.

# სპორტი

## გარეჯკახელები

### ხაშმიდან ახალი ფალავანი ძლიერდება



***სოფელი** ხაშმი ოდითგანვე ცნობილია თავისი მდიდარი ისტორიული წარსულით და აქაური ხაშმური საფერავით. სხვა მრავალ სახელგანთქმულ ფალავნებთან ერთად აქაურმა მიწა-წყალმა ბევრი აღიარებული ქართველი ფალავანიც გამოზარდა. ამ მიწაზე დააბიჯებდნენ ქართული ჭიდაობის კორიფე კულა გლდანელი, მსოფლიოს, ყოფილი სსრკ-ს ორგზის და საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში დავით ყვარელაშვილი, მისი ძმა, მსოფლიო თასის მფლობელი, სსრკ-ს პრიზიორი და საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში გივი ყვარელაშვილი და სხვანი. ახლა კი კიდევ ერთი ფალავანი გამოჩნდა ხაშმში – ზვიად თევდორაშვილი, რომლის სპორტული შედეგები იმის მომასწავებელია, რომ მისი სახით კიდევ ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი შეემატა ქართულ სპორტს.*

– პირველად ჭიდაობის შესწავლა თბილისში, მწვრთნელ ბათურა ჯიქურთან დავიწყე, ცხრა წლის ასაკში, – ***გვიყვება გაზეთის რედაქციაში სტუმრად მყოფი ზვიადი**,* – მარჯანიშვილზე მდებარე ძიუდოს დარბაზში დავდიოდი ხაშმიდან, რაც იმ დროის კვალობაზე მეტად პრობლემური იყო; არ იყო ტრანსპორტი, ხაშმიდან კახეთის გზატკეცილზე ჩამოსვლას ხომ ნუ იტყვით. ასე წვალებაში გადიოდა დრო. შემდეგ ერთ ხანს საგარეჯოშიც გადმოვედი სავარჯიშოდ, მწვრთნელ მამუკა მათიაშვილთან. ყველაზე მეტი წვლილი ჩემს სპორტსმენად ჩამოყალიბებაში კი მწვრთნელ გოჩა ბერაძეს მიუძღვის, რომელმაც ჩამრიცხა გლდანის ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნულ ცენტრში ჭიდაობა სამბოში.

ჩემი პირველი დიდი წარმატება 2016 წელს ვიზეიმე, როცა მოვიგე საქართველოს ჩემპიონატი სამბოში და გავხდი საქართველოს ჩემპიონი 70 კგ წონით კატეგორიაში ჭაბუკთა შორის. ამ წარმატებამ გზა გამიხსნა მეჭიდავა საფრანგეთის ქალაქ ტულუზაში გამართულ ევროპის პირველობაზე, სადაც შევძელი III საპრიზო ადგილის დაკავება. ამავე წელს ვიჭიდავე საქართველოს პირველობაზე ახალგაზრდებს შორის და აქაც ჩემპიონი გავხდი 70 კგ წონით კატეგორიაში.

2017 წელს ჩეხეთში გამართული ევროპის პირველობიდან კვლავ III საპრიზო ადგილით დავბრუნდი. შემდგომში კი გავხდი რუმინეთში გამართული მსოფლიო ჩემპიონატის გამარჯვებული და ჩემპიონი 74 კგ წონით კატეგორიაში.

***– როგორ წარიმართა შენთვის მიმდინარე 2018 წელი, რა შედეგებით ამთავრებ მას?***

– ეს წელი ჩემთვის ნამდვილად წარმატებულია. ჯერ გავხდი საქართველოს ჩემპიონი ახალგაზრდებში, შემდეგ კი ჩეხეთის დედაქალაქ პრაღაში გამართული ევროპის პირველობის ჩემპიონი 74 კგ წონით კატეგორიაში. ჩემი წლევანდელი წარმატებები დაგვირგვინდა ამ ერთი თვის წინ თბილისის სპორტის სასახლეში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე გამარჯვებით, სადაც ჩემპიონი გავხდი კვლავ 74კგ წონით კატეგორიაში. ამით ამოიწურა ჩემი ვადა ახალგაზრდულ ასაკში და გადავდივარ დიდებში.

***– ზვიად, შენ ხაშმელი კაცი ხარ, საგარეჯოელი, ამჟამად თბილისში ხარ. სურვილი არ გაგჩენია, რომ შეჯიბრებაზე საგარეჯოს სახელით გამოხვიდე საჭიდაო არენაზე?***

– რას ბრძანებთ, ყველგან, სადაც კი მიჭიდავია, საგარეჯოს სახელით გამოვდივარ.

***– გლდანის ოლიმპიურ ცენტრში ვარჯიშის გარდა, კიდევ რითია დაკავებული ჩვენი ახალგაზრდა სამბისტი?***

– ვარჯიშის გარდა ჩარიცხული ვარ და ვსწავლობ კოლეჯში. მშობლები – დედა და მამა საზღვარგარეთ არიან წასულები, ხაშმში კი „წითლობის“ უბანში მოსიყვარულე პაპა და ბებია მელოდებიან.

***– ზვიად, ხაშმელი ხარ და გეცოდინება, ვინ იყო კულა გლდანელი, იგივე ივანე ყირმელაშვილი, რომლის სახელიც ერთ დროს საქართველოს საჭიდაო არენებს აზანზარებდა.***

– კულა გლდანელის სახელი ვის არ სმენია საქართველოში? ახლახანს გლდანში მისი სახელობის სპორტდარბაზიც გაიხსნა, სადაც ქართულ ჭიდაობაში იმართება ხოლმე შეჯიბრებები, მაგრამ თუ იგი ხაშმელი იყო, ეს ნამდვილად აღმოჩენაა ჩემთვის.

***– როგორია შენი სამომავლო გეგმები – იკმარებ საჭიდაო არენებზე მოპოვებულ შენს სპორტულ ტიტულებს, თუ კვლავ უნდა გააგრძელო ჭიდაობა?***

– რა თქმა უნდა, ვიდრე ასაკი შემიწყობს ხელს, ვიჭიდავებ. ჯერ ხომ ახლახანს შევდგი ფეხი დიდების ასაკში. მინდა, რომ აქაც ვთქვა ჩემი სათქმელი.

***– მაშ, ღმერთმა ხელი მოგიმართოს და კიდევ მრავალი გამარჯვება მოგამკვიდროს ქართველი ხალხისა და მშობლიური კუთხის საამაყოდ. მუდამ წარმატებული ახალი წელი გაგთენებოდეს ახალ-ახალი გამარჯვებებითა და წარმატებებით.***

### გოგიტა მეკოკიშვილი



**დეკემბრის** მიწურულს სოფელ გიორგიწმინდის სპორტდარბაზის ყოფილი მწვრთნელი გოგიტა მეკოკიშვილი გარდაიცვალა

გოგიტა დაიბადა 1967 წელს, სოფელ გიორგიწმინდაში. სპორტით იგი ბავშვობის ასაკშივე დაინტერესდა და 1977 წლიდან ვარჯიში დაიწყო მწვრთნელებთან ბიჭიკო მარიდაშვილთან და გოგი დიღმელაშვილთან.

1984 წელს სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში.

გოგიტა იყო:

საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი ძიუდოსა და ქართულ ჭიდაობაში;

საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადის ჩემპიონი;

სსრკ-ს პრიზიორი ჭიდაობა ძიუდოში.

სსრკ-ს პროფკავშირების ჩემპიონი სპორტსაზოგადოებებს შორის, მათ შორის სპორტსაზოგადოება “კოლმეურნეს” ჩემპიონი. ამასთანავე, იგი მრავალი საქალაქთაშორისო ტურნირების ჩემპიონი და პრიზიორი იყო.

სერიოზული ტრავმის მიღების გამო, მიუხედავად დიდი სურვილისა, მან ჭიდაობა ველარ გააგრძელა, მაგრამ წლების განმავლობაში მუშაობდა სოფელ გიორგიწმინდის სპორტდარბაზში მწვრთნელად.

ნათელში ამყოფოს მისი სული უფალმა.

***ა ი პ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტგაერთიანება“***

## ჭოლჭიში

### საქართველოს ჩემპიონი მეოთხედ

**მანაველი** მკლავჭიდელის, კასკადიორისა და წოლჭიმში საქართველოს სამგზის, ევროპის ორგზისა და მსოფლიო ჩემპიონის **დემნა ქალაქურაშვილის** წარმატებების შესახებ ჩვენი გაზეთი რეგულარულად აწვდის ცნობებს მკითხველს. წელიწადნახევრის წინ ჩვენს სახელოვან სპორტსმენს სამხედრო-სავალდებულო სამსახურმა მოუწია და სამშობლოს წინაშე თავის მოქალაქეობრივ ვალს შს სამინისტროს ძალებში იხდიდა. ჯარში სამსახურთან ერთად, იგი არც წოლჭიმში ვარჯიშს ივიწყებდა და გასული წლის 9 სექტემბერს მონაწილეობა მიიღო შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ საქმეთა დეპარტამენტის ორგანიზებით გამართულ ჩემპიონატში, სადაც გახდა ჩემპიონი 75 კგ წონით კატეგორიაში.

ამჟამად საქართველოს უკვე ოთხგზის ჩემპიონმა, მოიხადა ქვეყნის წინაშე თავისი მხედრული ვალი და ინტენსიურად ემზადება 2019 წლის საქართველოს პირველობისათვის, სადაც იმედი აქვს, რომ გაიმარჯვებს და მოიპოვებს ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატის საგზურებს, თუმცა შიშობს, რომ ფინანსური პრობლემების გამო გაუჭირდება ამ შეჯიბრებებზე გამგზავრება. კარგი იქნება, თუ მსოფლიო არენაზე უკვე თავნასახელებ წოლჭიმელს გამოუჩნდება სპონსორი და დაუფინანსებს ამ ასპარეზობებში მონაწილეობას, საიდანაც იმედია, იგი კვლავ გამარჯვებული დაგვიბრუნდება.

## მკლავჭიდი

### ერთ წელიწადში ჩატეული საქართველოც, ევროპაც და მსოფლიოც



***ტიტულები**, რაც კაკაბეთელ მკლავჭიდელ ნუგზარ ჭიკაძეს გააჩნია, ბევრი სპორტსმენისათვის საოცნებოა, ზოგი კი ისე ამთავრებს თავის სპორტულ კარიერას, რომ მათთან მიახლოებასაც ვერ ახერხებს. ეს ოცი წლის მკლავჭიდელი კი უკვე ყველა უმაღლესი ჯილდოს მფლობელია –- არის საქართველოს, ევროპის, მსოფლიოს ჩემპიონი და ყოველივეს ერთ – 2018 წელს მიაღწია!*

*კაკაბეთში მცხოვრებმა და ამავე სოფლის სკოლის კურსდამთავრებულმა მკლავჭიდში ვარჯიში ამ რამდენიმე წლის წინ, სოფელ მზისგულის მკლავჭიდის წრეში, მწვრთნელ ვანო ხარებაშვილთან დაიწყო. ეს წრე ცნობილია იმით, რომ ქართულ მკლავჭიდს აღუზარდა რამდენიმე მსოფლიო დონის მკლავჭიდელი. გამოცდილი მწვრთნელის ხელში ნიჭიერმა აღსაზრდელმა მალე აუღო ალღო მკლავჭიდის საიდუმლოებებს, დაოსტატდა, საგულდაგულოდ დახვეწა ტექნიკა და 2018 წლის თებერვალში საქართველოს პირველობაზე წარსდგა, სადაც დაამარცხა თავისი ყველა მეტოქე და გახდა საქართველოს ჩემპიონი მარჯვენა ხელის გადაწევაში 80 კგ წონით კატეგორიაში. ამ გამარჯვებით ჩვენებური მკლავჭიდელი გახდა საქართველოს მკლავჭიდის ნაკრების წევრი და ამავდროულად მოიპოვა ევროპის პირველობაში მონაწილეობის უფლება.*

– ევროპის პირველობა, მაისის თვეში, ბულგარეთში ჩატარდა, – ***მეუბნება გაზეთის რედაქციაში მყოფი ნუგზარი**,* – ამ ასპარეზობაში მე ჩვეულ 80 კგ წონით კატეგორიაში, 21 წლამდელთა ასაკში ვიღებდი მონაწილეობას, სადაც კონტიგენტის ყველა უძლიერესი წარმომადგენელი იღებდა მონაწილეობას, აქ მომიხდა 14 შეხვედრის გამართვა, ფინალში კი მარჯვენა ქართველ მეტოქეს დავახრევინე.

***– ალბათ მისი გვარიც გეხსომება?***

– როგორ არა, ეს არის საქართველოს, ევროპის, მსოფლიოს ჩემპიონი ვახტანგ ლაბაძე.

ევროპის მსგავსად არც მსოფლიო დონის ასპარეზობა ყოფილა ჩემთვის იოლი, სადაც კვლავ 80 კგ წონით კატეგორიაში გამოვდიოდი. აქ თავმოყრილი იყვნენ მსოფლიოს თითქმის ყველა უძლიერესი მკლავჭიდელები, მაგრამ მე შევძელი ყველა მეტოქის დაჯაბნა, მათ შორის ფინალში დავამარცხე ჩეჩნეთის წარმომადგენელი, ერთ-ერთი უძლიერესი მკლავჭიდელი სოლტიხანოვი.

***– როგორია ახალი წლიდან შენი გეგმები? კვლავ აპირებ მკლავჭიდის გაყოლას თუ სწავლის გაგრძელება გინდა?***

– მკლავჭიდისათვის თავის დანებებას არ ვაპირებ, ვემზადები და ვვარჯიშობ საქართველოს ნაკრებში და ჩემს პირად მწვრთნელთან ვანო ხარებაშვილთან, ვისაც ასე დიდი ღვაწლი მიუძღვის ჩემს წარმატებებში.წინ არის საქართველოს, ევროპის და მსოფლიო პირველობები და მინდა კვლავ მივიღო მასში მონაწილეობა. რაც შეეხება სწავლას, მინდა სპორტის აკადემიაში შესვლა და განათლების იქ მიღება.

***– თუ შეიძლება ორიოდე სიტყვით შენი ოჯახის შესახებაც გვითხრა, სად ცხოვრობ, რას საქმიანობენ მშობლები?***

– ჩემი ოჯახი კაკაბეთში საჯარო სკოლის მახლობლად ცხოვრობს. მამა – ემზარ ჭიკაძე შავნაბადას მონასტრის ღვთისმსახურია, დედა – დიასახლისი. მყავს პატარა ძმა – 8 წლის ლუკა, რომელიც ჩემს მსგავსად მკლავჭიდში ვარჯიშობს – მომავალი ჩემპიონობისათვის ემზადება.

### თბილისის ღია პირველობაზე

**დეკემბერში** თბილისში ჩატარდა დედაქალაქის ღია პირველობა მკლავჭიდში 18 წლამდე და უფროსი ასაკის მკლავჭიდელებში, რომელშიც გარეჯელებიც იღებდნენ მონაწილეობას. მათგან 18 წლამდელთა ასაკში მარჯვენა ხელის გადაწევაში პირველი, ხოლო მარცხენაში III ადგილი დაიკავა ბაჩუკი საგინაშვილმა. ოთარ საგინაშვილმა II ადგილი დაიკავა მარცხენა ხელით, მარჯვენა ხელით ასპარეზობაში კი – III ადგილი. გიორგი დიღმელაშვილი III ადგილზე გავიდა ორივე ხელით პაექრობაში. ასეთივე შედეგი აჩვენა გიორგი კევლიშვილმა.

რაც შეეხება დიდების ასაკს, აქ მამუკა ბილანიშვილი მეორე ადგილზე გავიდა მარჯვენა ხელის გადაწევაში, მარცხენა ხელში – III ადგილზე.

***გვერდი მოამზადა გივი დაბახიშვილმა***

# მილოცვა



**ტარიელ როსტომაშვილს!**

**გილოცავთ** დაბადების დღეს!

შენ ის პიროვნება ხარ, რომელშიც ერთად არის თავმოყრილი კაცურკაცობა, ადამიანობა, მართლმადიდებლობა, ძლიერი სული, მოყვასის სიყვარული და კიდევ ვინ მოთვლის შენს ღირსებებს.

დიდხანს იცოცხლე, გაიხარე შენს მონაგართან ერთად, შენ უამრავი ადამიანის იმედი და დასაყრდენი ხარ ჭირშიც და ლხინშიც. გაგიმარჯოს შენი დიდი ადამიანობითა და ჭეშმარიტი ქართველობით.

*თინა ილაური*
*თამარ შალვაშვილი*

**დაბადების** დღეს ვულოცავთ ჩვენს საყვარელ პაპას, მუდამ ჩვენზე მზრუნველსა და ამაგდარ **ტარიელ როსტომაშვილს.** გისურვებთ ჯანმრთელობას, სიკეთეს, დიდხანს სიცოცხლეს და ჩვენს საიმედოდ კვლავაც შემართებით შრომით საქმიანობას,!

გვიყვარხარ და გვეიმედები.

***შვილიშვილები***
*ტატო, ნიტა, დათა როსტომაშვილები*

**დაბადების** დღეს ვულოცავ გასული საუკუნის 60-იანი წლების საბჭოთა კავშირის თავისუფალი ჭიდაობის ნაკრების №1 მოჭიდავეს, მსოფლიო თასის მფლობელს, სულით და გულით ჭეშმარიტ ქართველს, ქართული სპორტის ამაგდარ პიროვნებას საგარეჯოელ **სპარტაკ ქარსაულიძეს.**

ვუსურვებ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს და კვლავაც დიდი შემართებით ჭიდაობის გულშემატკივრობას.

***პატივისცემით***
*ტარიელ როსტომაშვილი*

## წინასაახალწლო ზეიმი ჩვენს მუნიციპალიტეტში
# ერთად აღნიშნეს ახალი წლის დადგომა

**ახალი** წლის წინა დღეებში მუნიციპალიტეტის მასშტაბით წინასაახალწლო ზეიმი ჩატარდა საბავშვო ბაღებში, საჯარო სკოლებში, მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში. ღია კონცერტი გაიმართა ქალაქ საგარეჯოს ცენტრში, სადაც სცენაზე ერთმანეთს ცვლიდნენ საქართველოში ცნობილი მსახიობები, მომღერლები... საინტერესო და სახალისო კაფე-საღამო ჩატარდა ბადიაურში ბადიაურის საკლუბო მუშაობის სპეციალისტის მზია ხორბალაძის ინიციატივითა და ორგანიზებით, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ბადიაურის, ყანდაურის, მზისგულის საჯარო სკოლების მოსწავლეები, მზისგულის საჯარო სკოლის მოსწავლემ ნუგზარ იაშვილმა საკუთარი ხელით მორთო დარბაზი. მოსწავლეებმა კაფე-საღამო გაალამაზეს მათ მიერ შესრულებული სიმღერებით, ლექსებით, ცეკვებით. მათში განსაკუთრებული სიხარული გამოიწვია საახალწლო საჩუქრების გადაცემამ. კაფე-საღამოს მონაწილეებს ახალი წლის დადგომა მიულოცა მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელმა ბადიაურში კახაბერ ჩალათაშვილმა. ამ საღამომ ერთმანეთი ახლოს გააცნო და მეგობრულად დააკავშირა სამივე სოფლის სკოლების მოსწავლეები.





### ბავშვებს საგარეჯოს კულტურის სახლმა უმასპინძლა





# განცხადება



**ილია** ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს ავტორიზებული საზოგადოებრივი კოლეჯი აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას 2019-2020 სასწავლო წლისათვის ევროპული სტანდარტის შემდეგ მოდულურ პროგრამებზე:

1. ბაგა-ბაღის აღმზრდელი მასწავლებელი - V საფეხური, სწავლების ვადა 2 წელი.
2. ფარმაცია /სააფთიაქო, დასაქმების გარანტიით/ - V საფეხური, სწავლების ვადა 2 წელი.
3. ბუღალტერი /მთავარი ბუღალტერი/ - V საფეხური, სწავლების ვადა 2 წელი.
4. საოფისე საქმე /ოფისის მენეჯერი/ - IV საფეხური, სწავლების ვადა 1 წელი.
5. ინფორმაციის ტექნოლოგია - III საფეხური, სწავლების ვადა 1 წელი.



ყველა პროფესიულ პროგრამაზე მიღების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, გარდა III საფეხურისა.

V უმაღლესი საფეხურის ყველა საგანმანათლებლო პროგრამაზე კოლეჯი გასცემს უმაღლეს პროფესიულ დიპლომს.

IV საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა ითავსებს ზოგადი განათლების მოდულს, რაც 9 კლასდამთავრებულ აბიტურიენტს 1 წელიწადში ამთავრებინებს სრულ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას და გასცემს ზოგადი განათლების ატესტატს, ხოლო მეორე წელს გაიცემა სახელმწიფო პროფესიული დიპლომი საოფისე საქმეში.

III საფეხურზე მიიღებიან 9 კლასდამთავრებული (საბაზო განათლების) აბიტურიენტები და 1 წელიწადში მიიღებენ სახელმწიფო პროფესიულ დიპლომს.

კოლეჯში მუშაობს სხვადასხვა მიმართულების განმავითარებელი პროგრამები, რაზედაც სასწავლებელი გასცემს სერთიფიკატს.

სასწავლებელში სწავლის მსურველმა აბიტურიენტებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1. განცხადება კოლეჯის დირექტორის სახელზე
2. საბაზო ან საშუალო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი
3. ნიშნის ფურცელი
4. პირადობის მოწმობის ასლი
5. ორი ფოტო სურათი 3X4

საბუთების მიღება მიმდინარეობს 2018 წლის 26 დეკემბრიდან 2019 წლის 19 იანვრამდე. 2018 წლის 28 დეკემბრიდან 2019 წლის 14 იანვრამდე კოლეჯში საშობაო არდადეგებია.

კოლეჯში სწავლა დაიწყება 2019 წლის 21 იანვარს.

დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ ვებ-გვერდი: www.iliaedu.ge
E-mail: iliasagarejo@gmail.com
T – 0(351) 24-24-36; 555 51-32-28.





რედაქტორი:
თინათინ ილაური

„გარეჯის მაცნეს" გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე"
გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში" სარეგისტრაციო ნომერი 281366; საიდენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 300
რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში"
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში".
ტელეფონები: 599 502 842 599 851 143
ელ. ფოსტა: garejismacne11@gmail.com